გილოცავთ შობა-ახალ წელს!

ხაშურის მოამბე

№49-50(373,374) 29 დეკემბერი, ხუთშაბათი, 2022 წელი

გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

ჩემო ძვირფასო ადამიანებო, გილოცავთ ახალ წელს. გისურვებთ ჯანმრთელობას, მშვიდობას და კეთილდღეობას. ყველა ერთად ვემშვიდობებით ურთულესი გამოწვევებით სავსე წელს და მომავალს იმედით ვხვდებით.

2023 წელი ჩვენი ქვეყნისთვის ყოფილიყოს წინსვლის, წარმატების, ერთიანობის, ხვავისა და დოვლათის მომტანი.

ზაალ (ზაზა) დუგლაძე,
ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი
დეპუტატი

ჩემო ძვირფასო ხაშურელებო, მეგობრებო, ქალბატონებო და ბატონებო!

ახალი წლის დღეები გვიახლოვდება, განახლებული ძალის, სასიკეთო სიახლეების, იმედების, კიდევ უფრო მეტი რწმენის დღეები. ბევრი გამოწვევა ახლდა გასულ წელს, მაგრამ მთავარი - მშვიდობა შევინარჩუნეთ, რაც სწორი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარების შედეგია. იმედია, ასე იქნება 2023 წელსაც.გილოცავთ დამდეგ შობა - ახალი წელს, ოჯახების სიმყარეს,

დოვლათს გისურვებთ, მეტ სიყვარულს და სულგრძელობას ერთმანეთის მიმართ, უფლის წყალობა არ მოაკლდეს თითოეულ თქვენგანს და სრულიად საქართველოს!

ნინო ლიპარტელიანი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ძვირფასო ხაშურელებო, მსურს გულით და სულით მოგილოცოთ ახალი 2023 წლის შემობრძანება

ახალი წელი განსაკუთრებული დღესასწაულია - გასული წლის შეჯამების, ახალი იმედების, ახალი წამოწყებების დრო.

გასული წელი ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა. მათ შორის განსაკუთრებულად გამოვყოფდი ზემო სერის ტყე-პარკის რეაბილიტაციის სამუშაოებს. ეს არის პროექტი,რომლის განხორციელებაც თითოეული ხაშურელის სურვილი იყო და მომავალ წელსაც აუცილებლად გაგრძელდება. ხაშურელები და მუნიციპალიტეტის სტუმრები უახლოეს მომავალში შევძლებთ აღდგენილი ტყე-პარკით სარგებლობას. მეორე პროექტი, რომელსაც 2022 წელს ჩაეყარა საფუძველი, გახლავთ წყლისა და წყალარინების რეაბილიტაციის პროექტი, რომლის დაწყებასაც ხაშურის მოსახლეობა უკვე დიდი ხანია ელის. მნიშვნელოვანია, რომ უკვე ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან და სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებას წინ ვეღარაფერი დაუდგება. ხაშურისთვის ეს მართლაც საუკუნის პროექტია.

იმედი მაქვს, რომ 2023 წელსაც თქვენი თანადგომით და მხარდაჭერით კვლავ არაერთი სასიკეთო საქმის გაკეთებას შევძლებთ.

მინდა ხაშურის მუნიციპალიტეტის თითოეულ მოქალაქეს, თითოეულ ოჯახს ვუსურვო მშვიდობა, ჯანმრთელობა, ბედნიერება დღეგრძელობა და კეთილდღეობა!

დაე, მომავალი 2023 წელი წინსვლისა და წარმატების მომტანი ყოფილიყოს ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის!

თენგიზ ჩიტიაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი

თენგიზ ჩიტიაშვილი:
მჯერა, რამდენიმე წელში, ხაშური სულ სხვა ქალაქი იქნება-ბევრად ლამაზი და კეთილმოწყობილი

ჩვენმა მუდმივმა მკითხველებმა კარგად იციან, რომ წლის ბოლოს, გაზეთის ფურცლებს ყოველთვის ვუთმობთ მუნიციპალიტეტის პირველ პირს, რომელიც უკვე განვლილი წლის პერიპეტიების ერთგვარ შეჯამებას აკეთებს პოლიტიკური თუ ეკონომიკური კუთხით. ტრადიციას არც ამჯერად ვღალატობთ და დღეს გთავაზობთ ინტერვიუს მუნიციპალიტეტის მერთან, თენგიზ ჩიტიაშვილთან.

- ბატონო თენგიზ, როგორ შეაფასებდით, განვლილ, 2022 წელს?

–იქიდან გამომდინარე, რომ ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. თუმცა, ბუნებრივია, მეტის გაკეთების სურვილი და ამბიცია გვაქვს. წელს, ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც მივაღწიეთ, ცენტრალური ხელისუფლების თანადგომით, წყლის პროექტს მოეწერა ხელი კომპანიასთან, რომელიც იწყებს ამ პრობლემის მოგვარებას. 265 მილიონი ლარი დაიხარჯება, ასეთი მასშტაბური პროექტის განხორციელებისთვის. გარდა ამის, იყო გამოწვევებიც. ფაქტობრივად, არაფერი იყო გაკეთებული, ათწლეულების განმავლობაში და პრობლემა პრობლემას ემატებოდა. რთულია, ამ მდგომარეობის შეცვლა ერთ წელში და მოსახლეობას აუხსნა მდგომარეობა, რომ ამას დრო დასჭირდება. მოსახლეობას ნაკლებად აინტერესებს ჩვენი გასავლელი პროცესები, ის ითხოვს შედეგს და ეს გასაგებია. ყველაფერი ჯაჭვივითაა გადაბმული-არ გაქვს ინფრასტრუქტურა-არ გყავს ინვესტორი ქალაქში, დამატებითი დოვლათის შესაქმნელად. იგივე შეიძლება ითქვას ტურიზმზე. ძალიან ბევრი კულტურულ-რეკრეაციული პროექტია დაგეგმილი, ზოგი მიმდინარე. ეს ყველაფერი, წლების შემდეგ, თავის შედეგს გამოიღებს.

- ყველაზე დიდი იმედგაცრუება და წარმატება რა იყო ამ ერთი წლის მანძილზე?

–იმედგაცრუება, თითქმის არ ყოფილა. წარმატებას რაც შეეხება, საკმაოდ ბევრი იყო. თუ გადავხედავთ, ბოლოდროინდელ პროექტებს, ბოლო სამი წლის განმავლობაში არ გაკეთებულა იმდენი, რაც ერთი წლის მანძილზე გაკეთდა. ბიუჯეტმაც მოგვცა ამის შესაძლებლობა. პრიორიტეტები ისე გადავანაწილეთ, რომ მხოლოდ გზებზე არ ვკონცერტრირდით, სკვერების რეაბილიტაციაც მნიშვნელოვან საქმედ ჩავთვალეთ, მწვანე საფარის შექმნა და ქალაქის იერ-სახის გაუმჯობესება პრიორიტეტად დავისახეთ. გარდა ამის, გარე ფასადების განათებაც გავაკეთეთ რეაბილიტირებულ ცენტრებში. მომავალ წელს, მინდა, პირველი საჯარო სკოლაც განათდეს, რომელიც ჩვენი ისტორიის საკუთრებაა.

- თქვენი მერობის პირობებში, როგორც აღნიშნეთ, მეტი ყურადღება, ქალაქის გამწვანებას და ფასადების მოწყობას მიექცა. ეს ეხება, სკვერებს და პარკებსაც.

–მე ვფიქრობ, რომ ქალაქის იერ-სახის გალამაზება, ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ქმნის პირველ წარმოდგენას ქალაქზე, ამიტომ, გადავწყვიტე, რომ უფრო მწვანე, ლამაზი და ესთეტიური ქალაქი გვქონდეს, რაც ნაწილობრივ, მოვახერხეთ კიდეც. მით უმეტეს, ქალქის ცენტრი, ვფიქრობ, განსაკუთრებულად ლამაზი უნდა იყოს. მახსოვს, ბავშვობაში როგორი იყო ხაშური, ზემო სერიც და გულში ტკივილს ვგრძნობდი, ასეთ მდგომარეობაში რომ იყო. მიხარია, რომ ძველ სახეს დავუბრუნებთ. მომავალ წელს ჩვენ ვიწყებთ ცენტრალური სკვერის რეაბილიტაციას, რომლის ღირებულება 1 300 000-ლარია, ძალიან კარგი პროექტია და ხაშურს უკვე, რეაბილიტირებული ცენტრალური სკვერი და ზემო სერი ექნება, სადაც დასვენებას და განტვირთვას შეძლებენ.

- რას თვლით წლის პროექტად?

–მიუხედავად იმის, რომ ეს პროექტი, ჩემი მერობის პირობებში არ დაწყებულა, ივერიის სტადიონი, შეიძლება ჩავთვალოთ წლის პროექტად და მომავლის პროექტად, და მეორე, ზემო სერი, რომელიც მომავლის პროექტია. ეს ორივე, ერთი დასრულებული და მეორე მიმდინარე, თანაბრად მნიშვნელოვანი და დიდია ჩვენი ქალაქისთვის.

წელს, ჩვენი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, 27 მილიონი ლარია, რაც მნიშვნელოვანი ზრდაა და საშუალებას მოგვცემს, მეტი პროექტის განხორციელებაზე დავიწყოთ ფიქრი.

- დამეთანხმებით, მოსახლეობის ყველაზე დიდი სურვილი და მოთხოვნა, წყლის სისტემის მოწესრიგებაა. წელს, დაიდო ხელშეკრულება თურქულ კომპანიასთან. რა ეტაპზეა პროექტი?

(დასასრული X გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია

19 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტი და ფინანსური სამოქმედო პროგრამა-2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა. მუნიციპალიტეტის მერიამ ეს დოკუმენტი, კანონის შესაბამისად, 15 ნოემბერს წარუდგინა საკრებულოს. იყო აზრთა სხვადასხვაობა, სხდომამ გაითვალისწინა დებატებში მონაწილე მხარეების შენიშვნები და პირველადი დოკუმენტია პროექტში ცვლილებებიც განხორციელდა. "ხაშურის მოამბის" მკითხველი ამ დოკუმენტის პროექტს ერთი თვის წინ გაეცნო. მისი მოცულობიდან და ჩვენი გაზეთის ფორმატიდან გამომდინარე, შეუძლებელია დამტკიცებული ბიუჯეტის სრულად ბეჭდვა. თუმცა, დღეს გთავაზობთ განმარტებით ბარათს, რომელშიც შეგიძლიათ გაეცნოთ ბიუჯეტში ასახულ უმთავრეს პრიორიტეტებს და სხვა დასახულ ფინანსურ ოპერაციებს, რომელიც 2023 წელს უნდა განხორციელდეს.

განმარტებითი ბარათი

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2023-2026 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2023 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 10,3 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155[1] მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

განისაზღვროს თვითმმართველი ერთეული ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 26755,5 ათასი ლარით:

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები შეესაბამება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6[1]-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს

ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს. 2023 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 23712,6 ათას ლარს შეადგენს. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან 21430.0 ათასი ლარი შედარებით 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 2282,6 ათასი ლარით (10,65%-ით) მათ შორის:

2023 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- ➢ დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 20712,6 ათასი ლარით;

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (18480,0 ათასი ლარი) შედარებით დღგ გაზრდილია 12,08 %-ით (2232,6 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- ➢ ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 3000,0 ათას ლარს;

2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (2950,0 ათასი ლარი) შედარებით ქონების გადასახადი 1,6%-ით (50,0 ათასი ლარით) იზრდება.

2023 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- ➢ გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 415,0 ათასი ლარამდე,მათ შორის:
- ✓ მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გრანტები 415.0 ათასი ლარი;
- ➢ სხვა შემოსავლები შემოსავლების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 2327,9 ათასი ლარამდე, მათ შორის:
- ➢ შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 260,0 ათასი ლარის ოდენობით,მათ შორის:
- ➢ რენტა 260,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
- ✓ მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 240,0 ათასი ლარი;
- ✓ შემოსავალი მიწის იჯარიდან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 20,0 ათასი ლარი; 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები 4%-ით (10,0 ათასი ლარით) იზრდება. (გაიზარდა ქირავნობის ხელშეკრულებით გაცემული ფართი).
- ➢ შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 320,4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
- ➢ ადმინისტრაციული მოსაკრებლები - 250,4 ათასი ლარის ოდენობით,მათ შორის:
- ✓ სანებართვო მოსაკრებლები 80,0 ათასი ლარი; (იზრდება 2022 წლის შემოსულობების ფაქტობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით).
- ✓ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 0,4 ათასი ლარი;
- ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 200,0 ათასი ლარი;
- ✓ შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 20,0 ათასი ლარი;
- ✓ შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან 50 ათასი ლარი;
- ✓ სანებართვო მოსაკრებლები 80,0 ათასი ლარი; (იზრდება 2022 წლის შემოსულობების ფაქტობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით).
- ➢ შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 1747,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
- ✓ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევევის გამო 1747,5 ათასი ლარი (იზრდება 2022 წლის შემოსულობების ფაქტობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით).
- ➢ არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 300.0 მლნ ლარს;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 26755,5 ათას ლარს (2022 წლის პირველ დამტკიცებულ გეგმასთან (21353,1 ათასი ლარი) შედარებით იზრდება 5402,4 მლნ ლარით).

2022 წლის ბიუჯეტთან შედარებით, გაზრდილია რიგი პროგრამებისა და ღონისძიებების, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მაჩვენებელი, კერძოდ 2023წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა დასუფთავების, გამწვანების, საბავშვო ბაღების, კულტურულ საგანმანათლებლო სპორტული და სხვა რიგი კატეგორიის, ასევე მუნიციპალიტეტში დასაქმებული საჯარო მოხელეების თანამშრომელთა ხელფასების 10%-ით ზრდა,ბავშვთა კვების პროდუქტების და სხვა კომუნალური და მოვლა შენახვის ხარჯების ზრდა, არ შემცირებულა კაპიტალური ხარჯების მოცულობა შესაბამისად, ზრდის ტენდენციაა შენარჩუნებული 2023 წლის საბიუჯეტო ასიგნებებში გეგმით არაფინანსური აქტივების ზრდა 9582,33 ათასი ლარია, (2022 წლის პირველ დამტკიცებულ გეგმას (6674,02 ათასი ლარი) აღემატება 2908,31 (43%-ია) ათასი ლარით).

	დასახელება	თანხა	განზ. ერთეული	ბენეფიარ ები
1	იტრიის დასახლებაში და ჩუმათელეთის დასახლებაში ჭაბურღილის ქსელის და სათავე ნაგებობის მოწყობა	1400000	4000 გრძ.მ	2500

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- ➢ ინფრასტრუქტურის განვითარება - 10952,90 ათასი ლარი; მათ შორის:
- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 4793,00 ათასი ლარი;

მათ შორის განხორციელედება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია: 4381,55 ათასი ლარი.

	დასახელება	თანხა	განზ. ერთეული	ბენეფიარ ები
1	ქ. ხაშურში, მინისტარას დასახლებაში ბინა 10 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია	140000	1 ცალი	180
2	ქ. ხაშურში, მინისტარას დასახლებაში ბინა 6 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია	70000	1 ცალი	180
3	ქ. ხაშურში, თევდორე მღვდლის ქუჩა 43-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაცია	150000	1 ცალი	120
4	ქ. ხაშურში, სვანიძის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის და ფასადის რეაბილიტაცია	250000	1 ცალი	150

წყლის სისტემების განვითარება 1656,94 -ათასი ლარი;

მათ შორის განხორციელედება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია:

- ✓ გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია - 1520,51 ათასი ლარი;
- ✓ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარება - 610,0 ათასი ლარი შემდეგი ობიექტების რეაბილიტაცია;
- ✓ კეთილმოწყობის ღონისძიებები - პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისათვის საჭირო სამუშაოები, სადღესასწაულო

	დასახელება	თანხა	განზ. ერთეული	ბენეფიარ ები
1	დაბა სურამში ბაიანთხევის დასახლებაში სტადიონის მოწყობა	170000	1 ცალი	200
2	სოფელ ტეზერში სტადიონის მოწყობა	170000	1 ცალი	400
3	ქ. ხაშურში ჭალისუბანში, ე.წ. სანერგეს ტერიტორიაზე სტადიონის მოწყობა	170000	1 ცალი	400
4	ხაშურში გორგასლის ქუჩაზე ე.წ. რუსების სტადიონის რეაბილიტაცია	300000	1 ცალი	500

დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია, საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია/ ექსპლოატაცია და სხვა ღონისძიებები.

	დასახელება	თანხა	განზ.ერთეული	ბენეფიარ ები
1	სამუსიკო სკოლასთან არსებული მოედნის რეაბილიტაცია	200000	400 მ2	3000
2	დაბა სურამში ამაღლების ქუჩაზე სკვერის მოწყობა	109000	1 ცალი	120
3	სოფ. ტეზერში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა	170000		400
4	ქ. ხაშურში ჭალისუბანში, ე.წ. სანერგეს ტერიტორიაზე საბავშვო ატრაქციონების მოწყობა	170000		400

მათ შორის განხორციელდება შემდეგი პროექტები

- ✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტადიონების, სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია 810,0 ათასი ლარი;
- ✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკებისა და სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია 369,0 ათასი ლარი;

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო - 400 ათასი ლარი;

დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

- ✓ ნაპირასმაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია - 400,0 ათასი ლარი;
- ✓ მოქალაქეთა თანამონაწილეობითი ბიუჯეტირება - 300 ათასი ლარი; აღსანიშნავია პროგრამა, როგორც საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით მონაწილეობითი ბიუჯეტირების კუთხით; მუნიციპალიტეტი განახორციელებს მოქალაქეთა უშუალო ჩართულობით მოწილეობითი ბიუჯეტირებას მისი არსი კი ისაა, რომ მოსახლეობა თავად განსაზღვრავს საკუთარ საჭიროებებს და თავადვე წყვეტს, თუ რა პროექტები უნდა განხორციელდეს, მონაწილეობითი ბიუჯეტირება, მონაწილეობითი ბიუჯეტირება არის ნებაყოფლობითი,უნივერსალური და უშუალო (პირდაპირი) დემოკრატიის პროცესი, რომლის საშუალებითაც ხალხი აწარმოებს დიალოგს და იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტისა და სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. ამდენად ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უკვე კანონით განსაზღვრული ფორმებით (სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო,დასახლების საერთო კრება,პეტიცია და ამ) გარდა სხვა,დამატებითი მექანიზმებით, განახორციელოს მონაწილეობითი ბიუჯეტირება.

- ➢ დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 1645,01 ათასი ლარი; მათ შორის:
- ✓ დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 1163,5 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა, მაწანწალა ცხოველების სპეციალურ თავშესაფარში გადაყვანა.

- ✓ მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 306,73 ათასი ლარი

	დასახელება	თანხა	განზ. ერთეული	ბენეფიარ ები
1	დიდი და პატარა სატივეში გზის მოასფალტება	774998	3400 გრძ.მ	700
2	სოფელ ბიჯნისამდე მისასვლელი გზის მოასფალტება	600000	2400 გრძ.მ	150
3	სოფელ ურთხვაში მისასვლელი გზის მოასფალტება	600000	700 გრძ.მ	250
4	დაბა სურამში ჯიჯნაძის ქუჩის მოასფალტება	133907	200 გრძ.მ	100
5	დაბა სურამში ლესელიძის ქუჩის მოასფალტება	132088	190 გრძ.მ	200
6	დაბა სურამში ბარათაშვილის ქუჩის მოასფალტება	130000	190 გრძ.მ	100
8	სოფ. გომში სკოლამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	118164	180 გრძ.მ	500
28	სოფელ ალში სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	645826	850 გრძ.მ	400
30	სოფელ ყოფიანთუბანში გზის მოწყობა	150000	300 გრძ.მ	40
31	გზებზე ორმოლულების სამუშაოების წარმოება	250000	6000მ2	4000
10	ქ. ხაშურში მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაცია	246569	1 ცალი	3000
	სოფელ ახალუბანში მისასვლელი გზის მოასფალტება	600000	547 გრ/მ	150

მოსახლეობისთვის ჯანსაღი და კომფორტული გარემოს შესაქმნელად აუცილებელია მუნიციპალიტეტის გამწვანება და ეკოსისტემის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში მოხდება მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია და მოვლა-პატრონობა.

➢ განათლება - 3573,60 ათასი ლარი, მათ შორის:

✓ სკოლამდელი განათლება - 3573,6 ათასი ლარი;

2021 წელთან შედარებით თანხები გაზრდილია 680,6 ათასი ლარით (5%), რაც გამოწვეულია პედაგოგების ხელფასების მატებით და საკვები პროდუქტების ფასების მატებიდან გამომდინარე;

➢ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 4159,40 ათასი ლარი მათ შორის:

✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 1036,84 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობაში გაიმართება ტურნირები მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენებს შორის, მოხდება სპორტული სკოლების უზრუნველყოფა საჭირო ინვენტარით. პროგრამა ითვალისწინებს გარდაბნის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯებს.

✓ კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 3082,13 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის, მეგობრობის ცენტრის, მუზეუმისა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა. ასევე მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების გაშუქება და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

✓ ახალგაზრდობის მხარდაჭერა - 40,42 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა.

➢ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1213,17 ათასი ლარი, მათ შორის:

✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - 117,82 ათასი ლარი;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

✓ სოციალური პროგრამები - 1095,35 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების:

- ასი და მეტი წლის უხუცესთა დახმარების პროგრამა -2,0 ათასი ლარი;
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა -41,41 ათასი ლარი;
- ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა, ომის ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება -21,63 ათასი ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის საახალწლო საჩუქრების გადაცემა.

- საომარი მოქმედებების შედეგად დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებისა და მათი სოციალური დაცვის ღონისიებები-31,50 ათასი ლარი;
- ‘სარიტუალო მომსახურება-3,0 ათასი ლარი
- უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა უფასო მგზავრობის უზრუნველყოფა 170,0 ათასი ლარი
- ‘მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფა- 24,0 ათასი ლარი;
- მოქალაქეთა სოციალური დახმარება -80,81 ათასი ლარი;

➢ მმართველობა - 5211,40 ათასი ლარი, მათ შორის:

✓ საკრებულოს დაფინანსება - 1038,62 ათასი ლარი;

✓ მერია - 3033,95 ათასი ლარი;

✓ სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური 294,17 ათასი ლარი;

✓ სარეზერვო ფონდი - 30,0 ათასი ლარი;

✓ წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 1,60 ათასი ლარი;

✓ სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდითვის დასაფარავის თანხა და ვალის მომსახურება 813,05 ლარი, მათ შორის ძირი 440,27 ლარი და პროცენტი - 372,78 ლარი.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ათასი ლარი/

2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

➢ შრომის ანაზღაურება – 3162,88 ათასი ლარი;
➢ საქონელი და მომსახურება – 2566,20 ათასი ლარი;
➢ პროცენტი – 372,78 ათასი ლარი;
➢ სუბსიდიები –8504,27 ათასი ლარი;
➢ გრანტები - 174,78 ათასი ლარი;
➢ სოციალური უზრუნველყოფა – 860,94 ათასი ლარი;
➢ სხვა ხარჯები – 1091,02 ათასი ლარი;
➢ არაფინანსური აქტივების ზრდა – 9582,33 ათასი ლარი;
➢ ვალდებულების კლება - 440,27 ათასი ლარი.

ხაშურის მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

➢ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 4917,0 ათასი ლარი;
➢ თავდაცვა - 294,0 ათასი ლარი;
➢ ეკონომიკური საქმიანობა - 7777,0 ათასი ლარი;
➢ გარემოს დაცვა - 1645,0 ათასი ლარი;
➢ საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 3177,0 ათასი ლარი;
➢ ჯანმრთელობის დაცვა - 118,0 თასი ლარი;
➢ დასვენება, კულტურა და რელიგია 4159,0 ათასი ლარი;
➢ განათლება - 3574,0 ათასი ლარი;
➢ სოციალური დაცვა - 1095,0 ათასი ლარი;

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტში გენდერული ასპექტების გათვალისწინების თაობაზე

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში „გენდერული ბიუჯეტირება“ საქართველოში აქტუალური საკითხი გახდა. გენდერული ბიუჯეტირება კომპლექსური საკითხია და საჯარო ფინანსების ხარჯვისას გენდერულად სენსიტიური და რელევანტული პროგრამების შემუშავებას გულისხმობს, საბიუჯეტო პოლიტიკამ

პროგრამული კოდი	დასახელება	2023 წლის პროექტი
	სულ ჯამი	26755,5
01 01 01	საკრებულო	1038,62
01 01 02	მერია	3033,94
01 01 03	სარეზერვი ფონდი	30
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	1,6
01 02 03	მგფ და სხვა ვალდებულებები	813,05
02 01 01	გზების მშენებლობა რეაბილიტაცია	4381,55
02 01 02	შიდა გზების მოვლა შენახვა ა(ა)იპ ,,ხაშურსერვისი''	305,48
02 01 03	თვითმმართველობის ტერიტორიაზე საგზაო მომრაობის დაგეგმარების და საგზაო ნიშნების მოწერიგება	105,97
02 02 01 01	'წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	1527,97
02 02 01 03	წყლის სათავე ნაგებობების მოვლა-შენახვა ა(ა)იპ წყლის და გამწვანების კომპანია	128,97
02 03 01	გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია ექსპლოატაცია	1201,37
02 03 02	გარე განათების ქსელის მოვლა - პატრონობა ა(ა)იპ ,,ხაშურსერვისი''	319,13
02 04	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარება	610
02 05 01 01	'მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტადიონების, სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია	369
02 05 01 02	'მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პარკებისა და სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია	810
02 05 01 03	'ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები	30
02 05 01 04	'სასაფლაოების მოვლა-პატრონობა ა(ა)იპ ,,ხაშურსერვისი''	63,44
02 07	'საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ექსპერტიზის ხარჯები	400
02 08	ნაპირასმაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია	400
02 09	'მოქალაქეთა თანამონაწილებითი ბიუჯეტირება	300
03 01 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქისა და სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტარიული ღონისძიებები ა(ა)იპ ,,ხაშურსერვისი''	1163,5
03 02 02	'მუნიციპალიტეტის დასახლებაში გამწვანებისა და მწვანე ნარგაობების, სპორტული მოედნების ფუნქციონირების ხელშეწყობა ა(ა)იპ ,,წყლის და გამწვანების კომპანია''	306,73
03 05	'ა(ა)იპ ,,მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტო''	174,78
04 01 01	'სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა ა(ა)იპ ,,ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშო ბაღების გაერთიანება''	3573,6
05 01 01	'სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (ა(ა)იპ ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა)	315,9
05 01 02	'სპორტული სკოლების ხელშეწყობა ა(ა)იპ ,,ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა''	720,94
05 02 01	'კულტურის ღონისძიებების დაფინანსება ა(ა)იპ ..კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაეთიანება''	177,82
05 02 02 02	ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების - სამუსიკო სკოლების გაერთიანება ა(ა)იპ ს,,კოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებების- სამუსიკო სკოლების გაერთიანება''	359,71
05 02 03 02	სპბიბლიოთეკო გაერთიანების ხელშეწყობა ა(ა)იპ ,,ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა''	209,41
05 02 04 01	კულტურის ცენტრების რეაბილიტაცია	800
05 02 04 02	'კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება ცენტრების ხელშეწყობა ა(ა)იპ ,,კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაეთიანება''	392,04
05 02 04 03	საქალაქო კულტურის სახლის რეაბილიტაცია	700
05 02 05	'მუზეუმების ხელშეწყობა ა(ა)იპ ,,სამუზეუმო გაერთიანება''	260,75
05 02 06	'საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა ა(ა)იპ გაზეთი ,,ხაშურის მოამბე"	52,39
05 02 07	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	130
05 03	'ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	40,42
06 01 01	'საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი	113,02
06 01 03	'დერატიზაციის შესყიდვა	4,8
06 02 01	ასი და მეტი წლის უხუცესთა დახმარების პროგრამა	2
06 02 02	'ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა	41,41
06 02 05	'ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა, ომის ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება	21,63
06 02 06	საომარი მოქმედებების შედეგად დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებისა და მათი სოციალური დაცვის ღონისიებები	31,5
06 02 07	'სარიტუალო მომსახურება	3
06 02 08	'უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა უფასო მგზავრობის უზრუნველყოფა	170
06 02 09	'მთიანი სოფლების საჯარო სკოლების პედაგოგების უფასო მგზავრობის უზრუნველყოფა	24
06 02 10	'მოქალაქეთა სოციალური დახმარება	801,81

შეიძლება ხელი შეუწყოს არსებული გენდერული უთანასწორობის გაზრდას, შემცირებას ან შენარჩუნებას. ამიტომ მუნიციპალურ დონეზე გენდერულ ბიუჯეტზე მუშაობის დაწყების პირველი ნაბიჯები ბიუჯეტის ფორმირების დროს გათვალისწინებული იყო გენდერული საჭიროებებისათვის და ბიუჯეტი მიმართული იყოს ამ უთანასწორობის შემცირებისკენ, რაც კვლავ გაგრძელდება და გაფართოვდება.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 08 ივლისის №385ბრძანებით „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ განსაზღვრულია, რომ პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, ერთ-ერთი ინდიკატორი შეიძლება იყოს გენდერული, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მეთოდოლოგიის მიხედვით, გენდერული ინდიკატორები შემუშავებული უნდა იყოს პროგრამისა და ქვეპროგრამის საბოლოო და შუალედური შედეგებისთვის.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის მიხედვით, განსაზღვრულია გენდერული ბიუჯეტის შემუშავება და პროგრამებისა და პროექტების დაგეგმარებისა და განხორციელების დროს ქალებისა და კაცების, გოგონებისა და ბიჭების საჭიროების გათვალისწინებით.

ამდენად, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, 2023 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის ფინანსური დოკუმენტების შემუშავების დროს, 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტსა და 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის (პროგრამული დანართი) გათვალისწინებული იქნა გენდერული ასპექტები.

ხაშურის მერის 2022 წლის 1 მარტის ბრძანების შესაბამისად შექმნილი პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფის ჩართულობით შეირჩა პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელიც გენდერული ანალიზიც ჩატარდა მუნიციპალიტეტის მერიის დარგობრივი სამსახურებისა და პროგრამების განმახორციელებელი ა(ა)იპ-ების მიერ, Iძ ტექნიკური მხარდაჭერით. გენდერული ანალიზის შედეგების საფუძველზე 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული პროგრამების/ქვეპროგრამების მოდიფიცირება მოხდა. კერძოდ, შესაბამისი გენდერული პოლიტიკა და მიდგომები ასახულია პროგრამის აღწერისა და შედეგების ნაწილში, ამასთან პროგრამებს/ქვეპროგრამებს აქვთ გენდერული ინდიკატორები.

საომავლოდ, კვლავ გაგრძელდება მუშაობა გენდერულ ბიუჯეტზე და პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფორმირების დროს გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები.

მდგრადი განვითარების მიზნების ხაშურის მუნიციპალური დოკუმენტი

შემუშავებულ იქნა მდგრადი განვითარების მიზნების ხაშურის მუნიციპალური დოკუმენტი - რომელიც წარმოადგენს გაეროს გლობალური მდგრადი განვითარების მიზნების პრიორიტეტებს. (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომში გაერო) გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო /ღ შ/70/1 რეზოლუცია[1] „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, ხაშურის მერის 2022 წლის 1 მარტის ბრძანების შესაბამისად შექმნილი პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფის ჩართულობით შეირჩა პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელიც გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ანალიზიც ჩატარდა მუნიციპალიტეტის დონეზე მუნიციპალიტეტის მერიის დარგობრივი სამსახურებისა და პროგრამების განმახორციელებელი ა(ა)იპ-ების მიერ, Iძ ტექნიკური მხარდაჭერით. გენდერული ანალიზის შედეგების საფუძველზე 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული პროგრამების/ ქვეპროგრამების მოდიფიცირება მოხდა. ხაშურის მუნიციპალიტეტის დონეზე, მისი მიზანია მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მუნიციპალური საქმიანობის დაგეგმვა 2030 დღის წესრიგის შესაბამისად. ხანგრძლივი კონსულტაციების შედეგად, ხაშურის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევებისა და თვითმმართველი ერთეულის კონტექსტის გათვალისწინებით, გაეროს მდგრადი განვითარების 9 მიზანი, 23 ამოცანა და 30 საბაზისო და სამიზნე ინდიკატორი განისაზღვრა მუნიციპალურ პრიორიტეტად, რაც დაკავშირებულია მუნიციპალიტეტის პროგრამებთან და ქვეპროგრამებთან.

❖ ხაშურის მუნიციპალიტეტის ქვეპროგრამაში აისახა ასევე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ინიცირებული შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამა. მისი მიზანია მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფისათვის, რომელთაც სახელმწიფო არ აფინანსებს ამ მიმართულებით, ამავე კრიტერიუმით დასაქმების ხელშეწყობის ისეთი სერვისების შეთავაზება, რომელიც გრძელვადიან შედეგებზე იქნება ორიენტირებული.

ლელა მაჭარაშვილი,

მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი

ლევანმა ნიკალას გვერდით მჯდომ პიროვნებაში პაპამისი ამოიცნო" - რა ახალ დეტალებს ჰყვებიან ხაშურის მუზეუმში ფოტოზე, რომელზეც სავარაუდოდ ახალგაზრდა ფიროსმანია ასახული?

ცოტა ხნის წინ ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა გამოფენაზე "რკინიგზა ხაშურში 150" აუდიტორიას პირველად წარუდგინა ფოტო, რომელზეც მათი ვარაუდით ნიკო ფიროსმანია აღბეჭდილი. ამის შესახებ ვწერდით კიდეც.

ფოტოს გასაჯაროების შემდეგ ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს დედაქალაქიდან ბატონი ლევან სხირტლაძე დაუკავშირდა.

"ბატონი ლევანი რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის, ფიზიკისა და ასტრონომიის ცნობილი პედაგოგის, გრიგოლ სხირტლაძის შვილია. მან მოგვაწოდა თავისი პაპის, ლეონტი სხირტლაძის ფოტოსურათები და ინფორმაცია თავისი წინაპრების შესახებ. ბატონ ლევანს, როგორც კი უნახავს ფიროსმანის სავარაუდო ფოტოსურათი, მის გვერდით მჯდომ პიროვნებაში, მაშინვე თავისი პაპა ამოუცნია. ლეონტი სხირტლაძე გარდაცვლილა 1918 წელს, 55 წლის ასაკში, როცა მისი ვაჟი, გრიგოლ სხირტლაძე 9 წლის იყო. გამოდის, რომ ლეონტი დაბადებული უნდა იყოს 1863 წელს.

აღნიშნული პიროვნება ფიროსმანის თანატოლი უნდა ყოფილიყო. ლეონტი სხირტლაძე მუშაობდა ხაშურის რკინიგზაზე,ჯერ მუშად,მერე მემანქანედ. ინფორმაცია ძალიან წაგვადგა ჩვენი ვარაუდების განმტკიცების თვალსაზრისით, რომ ფოტოზე ამქრის წევრებთან ერთად გამოსახულნი უნდა იყვნენ ხაშურელი რკინიგზელები," - ამ ინფორმაციას ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მუზეუმი საკუთარ ფეისბუქგვერდზე აქვეყნებს.

"დიახ, ფოტო, რომელიც ოჯახმა მოგვაწოდა, ზუსტად ედრება ჩვენთვის საინტერესო პიროვნების გამოსახულებას. ამ ადამიანის ფოტოზე ამოცნობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ამ იდენტიფიკაციამ საშუალება მოგვცა, ვარაუდი განგვემტკიცებინა, რომ სურათზე რკინიგზელებიც არიან გამოსახული. თუმცა, ჯერჯერობით, ვერაფერს ვამტკიცებთ. უბრალოდ, ვფიქრობთ, რომ, რადგან რკინიგზელია ფოტოზე გამოსახული და უშუალოდ ჩვენი სავარაუდო პიროვნების გვერდით, ეს მრავლისმეტყველია", - დასძენს მზია ლობჟანიძე, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი.

ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველის მოადგილეს სამეცნიერო დარგში, პროფესორ მურად მთვარელიძესაც ვესაუბრეთ:

- ლეონტი სხირტლაძის შთამომავალი, კონკრეტულად, მისი ვაჟი ცნობილი პედაგოგი გახლდათ. ის უშუალოდ ჩემი მასწავლებელი იყო. მუშაობდა რკინიგზის მე-3 საშუალო

სკოლაში. ახლა იქ მე-6 საჯარო სკოლაა. ეს ოჯახი ცხოვრობდა იმ ადგილის,იმ სახლის მახლობლად,სადაც ეს სურათი მოვიპოვეთ („კოშკის უბანში" სულ 2-3 სახლია). ჩემი მასწავლებელი დიდი ხანია, ცოცხალი აღარ არის და ამიტომ,მისი ერთ-ერთი ვაჟიშვილი ლევანი დამიკავშირდა. მითხრა, რომ ამ სურათზე ერთ-ერთი მისი პაპაა. პაპას ლეონტი ერქვა და მას მისი სახელი ჰქვია.

ლეონტი სხირტლაძე

ლეონტი სხირტლაძე რკინიგზელი იყოჯერ რიგითად მუშაობდა, შემდეგ - მემანქანედ. გარდაიცვალა 1918 წელს, როცა მისი შვილი გრიგოლი, ანუ ჩემი მასწავლებელი 9 წლის გახლდათ. ეს თარიღი იმის მიხედვით დავადგინეთ, რადგანაც ვიცით გრიგოლ სხირტლაძის დაბადების თარიღი. ეს არის 1909 წელი (მამას შვილებისთვის ინფორმაცია ასე ჰქონდა მიწოდებული,რომ 9 წლისა დაობლდა). გამოდის, 1918 წელი ყოფილა და ლეონტი 55 წლის გახლდათ (ოჯახმა ეს ზუსტად იცის).

შვილიშვილმა გამოგვიგზავნა პაპის სურათები - ერთი ოჯახთან ერთად, მეორე - პორტრეტი, რომელიც იმ ფოტოზე გამოსახული პიროვნების იდენტურია. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ასაკობრივად ფიროსმანის ასაკსაც ძალიან უახლოვდება. როგორც გამოვთვალე, 1863 წელს არის დაბადებული. ფიროსმანი გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, 1862 წელს არის დაბადებული, ზოგიერთი მონაცემით ცოტა გვიან, მაგრამ გავრცელებული უფრო 1863 წელია. ფაქტობრივად, თანატოლები ჩანან და ეს ფოტოდანაც ჩანს. ეს კი თვითონ სურათის დასათარიღებლად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. მეტი ინფორმაცია მათ არ აქვთ, იციან მხოლოდ ის, რომ ამ სურათზე ნამდვილად მათი პაპა ლეონტი სხირტლაძეა. ამის იდენტიფიკაცია კი შეუიარაღებელი თვალითაც ნათელია და წყალი არ გაუვა.

ჩვენ კვლავაც ვმუშაობთ აქტიურად. ვაგრძელებთ ფოტოზე გამოსახული პიროვნებების ძიებას და თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს. ველით ახალ-ახალ გამოხმაურებას და ინფორმაციებს.

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4, 5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28, 29,30,31,32,33,34,35,36,37,38,39,40,41,46,47,48)

განათლების კომისარიატის წარმომადგენელს განსაკუთრებით მოსწონებია „... სკოლასთან ახლადგახსნილი „სახელოსნო“, რომელშიაც გაჩაღებულია მოწაფეებისა და ხელგარჯილობის მასწავლებლის ხელმძღვანელობით მუშაობა. ამ მუშაობას აქვს წმინდა წარმოებითი ხასიათი“.

20-იანი წლები და 30-იანი წლების დასაწყისი ეს არის სახალხო განათლების ახალი საბჭოური სისტემის დამკვიდრების, რეფორმების, ძიების წლები, რაც ხასიათდება ხშირი ცვალებადობით, პრაქტიკაში ინერგება სწავლების ახალი, ზოგჯერ გაუმართლებელი და პედაგოგიური თვალსაზრისით მიუღებელი მეთოდები („კომპლექსური სისტემა“, „პროექტთა მეთოდი“) და სხვა.

1921-1931 წლებში საშუალო და არასრული საშუალო სკოლების პროგრამები ხშირად იცვლებოდა. იცვლებოდა აგრეთვე სკოლების სტრუქტურა, სწავლების ხანგრძლივობა, სკოლის მიზანდასახულობა და ამოცანები. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდმნიშნელოვან მოვლენას ჰქონდა ადგილი 1926-1930 წლებში. 1926 წლიდან დაიწყო სოფლის შვიდწლიანი სკოლების გარდაქმნა სოფლის ახალგაზრდობის სკოლებად. ცოტა უფრო გვიან კი იწყება ქალაქად არსებული შვიდწლიანი სკოლების გარდაქმნა საქარხნო-საფაბრიკო შვიდწლედებად. 1930-1931 სასწავლო წლისათვის ეს გარდაქმნები დამთავრდა და შეეხო უკლებლივ ყველა სკოლას. ამ რეფორმის მიზანი იყო სკოლის დაახლოება ცხოვრებასთან, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, ქალაქის შვიდწლედების დაახლოება უნდა მომხდარიყო საქალაქო მეურნეობასთან, ხოლო სოფლის სკოლების - საკოლმეურნეო ცხოვრებასთან.

1930-1931 სასწავლო წლიდან ხაშურში არსებული შვიდწლედები ჩამოყალიბდა საქარხნო – საფაბრიკო სკოლებად. ამ პერიოდიდან ხაშურში არის რკინიგზის I-II-III, ქალაქის IV – V შვიდწლედები. საფაბრიკო-საქარხნო არის საშუალო განათლების სასწავლებელი შვიდწლედების ბაზაზე (დღევანდელი I საჯარო სკოლა).

1929 წლის 11 ოქტომბერს, სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება მშრომელ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის შესახებ. მასში ნათქვამი იყო, რომ წერა-კითხვის უცოდინარი ან მცირე მცოდნე ყველა მუშა, მუშა-ქალი და მოსამსახურე 40 წლამდე, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფო დაწესებულებებსა და საწარმოებში, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და კერძო პირთან და აგრეთვე ის პირი, რომელმაც ჯარში გაწვევამდე სამხედრო მომზადება უნდა გაიაროს, ვალდებულია, მოახდინოს ლიკვიდაცია თავის წერა-კითხვის უცოდინრობისა და მცირე მცოდნეობისა.

წერა-კითხვის უცოდინრობისა და მცირე-მცოდნეობის ლიკვიდაცია უნდა მომხდარიყო: ა) ქალაქად მომუშავე მუშების, მუშა-ქალების და მოსამსახურის მიერ ერთი წლის განმავლობაში – 1930-1931 სასწავლო წლის დაწყებამდე. ბ) სოფლად მომუშავე მუშის, მუშა-ქალის და მოსამსახურის მიერ ორი წლის განმავლობაში 1931-1932 სასწავლო წლის დაწყებამდე.

1930 წლის 5 სექტემბერს, ქალაქის საბჭოს განათლების სექციამ განიხილა წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლების გახსნის საკითხი. სექციამ საკითხის გადასაწყვეტად შექმნა კომისია ევგენი ნოზაძის (თავმჯდომარე), ალ. შჩეპანსკის (მოადგილე), ნიკო მიქაძის და ქსენია ქართველიშვილის შემადგენლობით, რომელთაც დაევალათ, შეემუშავებინათ ქალაქის სალიკვიდაციო სკოლების მოწყობის სამოქმედო გეგმა.

1931 წლის თებერვლის მონაცემებით, სტალინისის (ხაშურის) რაიონში აღრიცხული იყო 6448 წერა-კითხვის უცოდინარი. აქედან სალიკვიდაციო სკოლებში ჩაბმული იყო 5151 (79%), დარჩენილი იყო 1297 (20%).

სტალინისის (ხაშურის) სასოფლო საბჭოში (შედიოდა ცხრამუხა, ლუბრუმა, ზემო ოსიაური, პატარა ახალსოფელი, კლდისწყარო, ნიკორთი) ამავე პერიოდისთვის წერა-კითხვის უცოდინარი იყო 237 კაცი, ხოლო მცირე მცოდნე - 182, ქალაქის საბჭოს განათლების სექციასთან შეიქმნა „წერა-კითხვის უცოდინრობის აღმომფხვრელი კომისია“, რომელსაც უნდა მოეხდინა აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა.

ქალაქის სკოლის მასწავლებლები, უფროსი კლასის მოსწავლეთა დახმარებით, ახდენდნენ სასკოლო ასაკის გადაცილებული წერა-კითხვის უცოდინართა და მცირე-მცოდნეთა აღრიცხვას 15-დან 40 წლამდე. მათთან მუშაობა წარმოებდა, როგორც ინდივიდუალურად, აგრეთვე სკოლის ბაზაზე მოწყობილ წერა-კითხვის უცოდინრის სალიკვიდაციო სკოლებში. 1930 წლის 7 იანვარს ხაშურის ქალაქის საბჭოს განათლების სექციის სხდომაზე განხილული იქნა წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოსაფხვრელად გატარებული მუშაობის საკითხი. სექციამ დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები, კერძოდ, უახლოეს დროში სათანადოდ უნდა მომხდარიყო სალიკვიდაციო სკოლების მუშაობის შესწავლა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა მსმენელთა დასწრების საკითხს. შესწავლილიყო მათი დაუსწრებლობის მიზეზები, მომხდარიყო მასწავლებლებისა და უფროსი ჯგუფის მოსწავლეების მიერ წერა-კითხვის უცოდინრების ხელახალი აღრიცხვა. ქალაქში უნდა მომხდარიყო აგრეთვე ისეთი პირების აღრიცხვა, რომელთაც შეეძლებოდათ, ინდივიდუალური მეცადინეობა ეწარმოებინათ წერა-კითხვის უცოდინრებთან. განათლების სექციას ევალებოდა, მოსახლეობაში ფართო პროპაგანდა გაეწია წერა-კითხვის მცოდნეობის უპირატესობისთვის და ამით ხელი შეეწყო მსმენელების სალიკვიდაციო სკოლებში მეცადინეობისთვის.

სხდომაზე შეიქმნა სპეციალური შტაბი საშა ჯაფარიძის, ეპიფანე იმნაძის და გაბო შათირიშვილის შემადგენლობით სექციის მიერ მიღებული ღონისძიებების გასატარებლად. აგრეთვე სალიკვიდაციო სკოლებზე მიმაგრებული იქნენ განათლების სექციის წარმომადგენლები: რკინიგზის I სკოლასთან არსებული სალიკვიდაციო სკოლაზე - ანა ვაშალომიძე, II სკოლასთან – ნიკოლოზ ფანჩვიძე, III სკოლასთან – ირაკლი მაისურაძე, IV სკოლასთან - ლიდა აფხაზავა, ჭალის შვიდწლედთან – ანა ბითაძე, 10 წლედთან – ელენე დეკანოიძე და საბავშვო ბაღთან – ლადო ხარატიშვილი. 1931 წლის თებერვალში სტალინისის საბჭოს 6 სოფელში გახსნილი იყო 9 სალიკვიდაციო სკოლა. მუშაობაში ჩაბმული იყო 197 კაცი. დარჩენილი იყო 40. სულ იყო 9 მასწავლებელი და საჭირო იყო კიდევ 1. ყველა მასწავლებელი ღებულობდა ხელფასს. სკოლები უზრუნველყოფილი იყო ბინებით. მეცადინეობა დაწყებულა ცხრამუხაში 15 იანვარს, ლუბრუმაში – 2 იანვარს, აზარმაში – 6 თებერვალს, ზემო ოსიაურში – 27 იანვარს, პატარა ახალსოფელში – 2 იანვარს. ამ დროს ნიკორთში მუშაობა დაწყებული არ არის მასწალებლის უყოლობის გამო, ხოლო კლდისწყაროში წერა – კითხვის უცოდინრები არ არიან. სკოლები მომარაგებული ყოფილა რვეულებით, წიგნებით და ფანქრებით. სტალინისის საბჭო აქტიურად იყო ჩაბმული წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო საქმიანობაში და სისტემატურად ატარებდა საუბრებს მოსახლეობაში. 1930-1931 სასწავლო წლიდან ხაშურის რაიონში დაიწყო საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი განათლების განხორციელება. 1930 წლის 4 სექტემბერს ქალაქის საბჭოს განათლების სექციამ განიხილა აღნიშნული საკითხი. დაამტკიცა სამუშაო გეგმა და შექმნა სპეციალური კომისია. ამავე დროს სექციამ დაავალა, ყველა სკოლის გამგეს მოეხდინათ თავიანთ სამოქმედო უბანში 10 სექტემბრამდე 8-დან 15 წლამდე ასაკის წერა-კითხვის უცოდინართა აღრიცხვა და მათი ჩაბმა სწავლებაში. საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გასატარებლად სექციის მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა გეგმა ითვალისწინებდა:

- უნდა მომხდარიყო სკოლის გარეთ დარჩენილი 8-დან 15 წლამდე ბავშვების აღრიცხვა და მათი ჩაბმა სწავლებაში.
- უნდა დახმარებოდნენ ღარიბ მოსწავლეებს მატერიალურად, სამოსწავლო ნივთებით, მგზავრობის ფულით და სხვა. ამ მიზნით გათვალისწინებული იყო, ბიუჯეტში გაზრდილიყო სკოლებში შექმნილი ღარიბ მოსწავლეთა დახმარების ფონდი, სადაც არ იყო ასეთი ფონდი, სასწრაფოდ შექმნილიყო.
- საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელებისათვის ქალაქის ორგანიზაციებთან იქმნებოდა დამხმარე კომიტეტები.
- წინადადება ეძლეოდა ყველა ორგანიზაციას, რათა დროულად გაეღოთ მოსწავლეთა დახმარების ფონდში თანხები.
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებს, ამ თვალსაზრისით ისინი უნდა გათანაბრებულიყვნენ მუშებთან.
- ვინაიდან საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელებისათვის საჭირო იყო შესაბამისი კადრები, უნდა მომხდარიყო იმ პედაგოგების მობილიზება, რომლებიც არასპეციალობით მუშაობდნენ, ამავე დროს უნდა აღრიცხულიყო ყველა ის პირი, რომელთაც ჰქონდათ საშუალო განათლება.
- უნდა აეძულებინათ მშობლები, რომელთა კმაყოფაზეც იმყოფებოდნენ ის ახალგაზრდები, რომლებიც ექვემდებარებოდნენ საყოველთაო - სავალდებულო სწავლებაში ჩაბმას, ეტარებინათ სასწავლებელში შვილები. რომელი მშობელიც არ შეასრულებდა აღნიშნულ დადგენილებას, მიცემული იქნებოდა პასუხისგებაში.
- ქალაქ ხაშურის მოსახლეობაში ფართო აგიტაცია უნდა გაეწიათ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღებისთვის, რათა თითოეული მოსახლე გარკვეული ყოფილიყო მის მნიშვნელობაში.
- სკოლებში უნდა გახსნილიყო დამატებითი ჯგუფები (კლასები), რისთვისაც ქალაქის საბჭოს ბიუჯეტში უნდა გაეთვალისწინებინა ორი მასწავლებლისთვის ხელფასი 19200 მანეთი და გაედიდებინა ღარიბ მოსწავლეთა დახმარების ფონდი ( ). 1931 წლის 20 იანვარს საქ. კპ (ბ) სტალინისის რაიკომის საკონტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გაერთიანებულ სხდომაზე აღნიშნა, რომ რაიონში საყოველთაო-სავალდებულო სწავლება მიმდინარეობდა არადამაკმაყოფილებლად. ისიც ითქვა, რომ ქალაქის საბჭოს ბიუჯეტში გათვალისწინებული ჰქონდა ფულადი სახსრები ღარიბ მოსწავლეთა დახმარებისათვის, მაგრამ საკითხის განხილვის დროს, ათწლედსა და შვიდწლედებს გამოყენებული არ ჰქონდათ.

საინტერესო ცნობებია დაცული ხაშურის ქალაქის საბჭოს 1931-1934 წლების ანგარიშში ხაშურში სახალხო განათლების მდგომარეობის თვალსაზრისით. მოგვყავს ამონარიდი ანგარიშიდან: „ქალაქ სტალინისში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარება იწყება 1930-1931 სასწავლო წლიდან. აღნიშნულ წელში სკოლების კეთილმოწყობის მიზნით ჩატარდა კულტესტაფეტა, რაც მიზნად ისახავდა სკოლების კეთილმოწყობისათვის ზრუნვას, სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვას და სკოლებზე მიმაგრებას, სკოლების მასწავლებელთა კადრით უზრუნველყოფას და სხვა. კულტესტაფეტის ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქალაქის საბჭო და სხვა ადგილობრივი ორგანიზაციები. ნებაყოფლობით ნიადაგზე შეგროვილი იქნა სხვადასხვა ორგანიზაციებიდან 1800 მანეთი, რომელიც მოხმარდა სკოლებს. შეძენილი იქნა 64 წყვილი ფეხსაცმელი მოწაფეთათვის, დამზადებული იქნა 84 მერხი, სკამები, მაგიდები და დაფები. აღნიშნულ წელში საქარხნო-საფაბრიკო სკოლების რიცხვი უდრიდა 5-ს, ჯგუფი (კლასი) 80-ს, მოსწავლეთა (რაოდენობა) – 2375-ს. პროფსკოლა 30 მოწაფით. მუშათა კადრების მომზადების მიზნით გაიხსნა რკინიგზის მუშაკი 35 მსმენელი(თ). იყო გახსნილი აგრეთვე ათწლედი კოოპერატიული განხრით, რომელიც შემდეგ გადაკეთდა პედაგოგიურ განხრიან ათწლედად. აღნიშნულ წელში გაიშალა მუშაობა წერა-კითხვის უცოდინრობის და მცირემცოდნეობის აღმოსაფხვრელად. სულ ქალაქად იყო გახსნილი 8 წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა ჯგუფი, რომელზეც გატარდა 240 მსმენელი.

1931-32 სასწავლო წელს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებას და მოწაფეთა კონტიგენტის 100%-ით მოზიდვას სკოლებში. საქარხნო-საფაბრიკო სკოლების რიცხვი რჩებოდა იგივე, გაიხსნა პედაგოგიური ტეხნიკუმი 2 კურსით 80 მოწაფისათვის. ვინაიდან რაიონი ოდანავადაც არ არის უზრუნველყოფილი მასწავლებელთა ადგილობრივი კადრით, ადგილი აქვს მასწავლებელთა დენადობას. ეს კი უდიდეს გავლენას ახდენს სწავლა-აღზრდის საქმეზე. აღნიშნულმა პედტეხნიკუმმა წელს მოგვცა 78 მასწავლებელი, რომლებიც განაწილებული იქნა რაიონის სკოლებში. ამით კი საშუალება მოგვეცა, ადგილებიდან გაგვეთავისუფლებინა შედარებით ნაკლები კვალიფიკაციის მასწავლებლები. აღნიშნულ წლებში გრძელდებოდა მუშაობა წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოფხვრისათვის. ამ წელს აშენდა რკინიგზის კლუბი, რომლის მშენებლობა დაჯდა 1 300 000 მანეთი, კლუბი იტევს 1000 კაცს.

1932-33 სასწავლო წელს სკოლების ცხოვრებაში აქვს ადგილი საგრძნობ გარდატეხას, ვინაიდან შემოვიდა სტაბილური პროგრამები და სახელმძღვანელოები. ზაფხულის პერიოდში ჩატარდა ორთვიური სკოლების კეთილმოწყობისათვის. შ ვ ი დ წ ლ ე დ ე ბ ი ს რიცხვი რჩება იგივე, რაც წინა წელში. იხსნება 10 - წლედი ოთხი კლასით 86 მოწაფით. ედტექნიკუმში არის 4 კურსი 150 მსმენელით. სათანადო ყურადღება ექცევა მუშათა განათლების საქმეს, რკინიგზის მუშფაკში ირიცხება 205 მსმენელი. მოწაფეთა რაოდენობა ქალაქად უდრის 2337. წარმოებდა წერა-კითხვის უცოდინარებთან და მცირე მცოდნეებთან ინდივიდუალური მომართულების წესით მეცადინეობა.

1933-1934 სასწავლო წელში გრძელდება მუშაობა სკოლების კეთილმოწყობისთვის. საქ. კპ (ბ) ცკ-ისა და სახკომსაბჭოს დადგენილების თანახმად, გატარდა შემდეგი ღონისძიებები: საფაბრიკო – საქარხნო შვიდწლედებს ეწოდათ არასრული საშუალო სკოლა, ხოლო 10-წლედს – სრული საშუალო სკოლა. ჯგუფებს ეწოდათ კლასები. მოხდა ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებლების შემოწმება და აღნიშნული საგნების მასწავლებლები გადამზადებულნი იქნენ. სკოლები უზრუნველყოფილი იქნენ სტაბილური პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით, ჩამოყალიბდა რაიმეთოდბიურო და მეთოდური წრეები. სკოლების რიცხვი რჩება იგივე, რაც წინა წლებში იყო. წერა-კითხვის უცოდინრობა აღმოფხვრილია. მასწავლებელთა კადრების მომზადების მიზნით დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულია 44 მასწავლებელი. მოეწყო 3 თვით მასწავლებელთა კურსები ქალაქის სკოლების მასწავლებელთათვის, სადაც 70 მასწავლებელმა გაიარა მომზადება.

1934-1935 სასწავლო წლის დაწყებამდე ჩატარდა მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოები, რემონტი გაუკეთდა ქალაქის ყველა სკოლას. დამზადდა 30 ახალი და შეკეთდა 150 მერხი...“.

ხაშურის რაიონში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1931 წელს გახსნილმა პედაგოგიურმა ტექნიკუმმა, რომელიც პედაგოგებს ამზადებდა დაწყებითი სკოლებისთვის. სასწავლებელში აღიზარდა შემდგომში სახალხო განათლების დარგის არაერთი თვალსაჩინო მუშაკი, რომლებმაც დიდი ღვაწლი დასდეს განათლების დარგს არა მარტო ხაშურის, არამედ მის მეზობელ რაიონებშიც (ქარელი, ხარაგაული, ბორჯომი და სხვა).

პედსასწავლებელმა დაარსებიდან 1940 წლამდე მოამზადა 450 პედაგოგი. აქედან სკოლის გამგედ მუშაობდა 24, საშუალო სკოლის მასწავლებლად – 13; 1939 წელს პედსასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა 14 - მა, ხოლო 1940 წელს – 16 - მა ახალგაზრდამ.

1948 წლიდან ტექნიკუმი ფიზადზრდის პედაგოგებს ამზადებდა, ტექნიკუმი გაუქმდა 1954 წელს.

30-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოხდა საბჭოთა განათლების სისტემის მყარ ნიადაგზე დაფუძნება და იწყება ახალი ეტაპი საბჭოთა სკოლის განვითარებაში. ამავე პერიოდს ემთხვევა ხაშურში საშუალო სკოლების გახსნა. ქალაქ ხაშურში ჩამოყალიბდა ქალაქისა და რკინიგზის საშუალო სკოლები. ამ უკანასკნელთა ათვლა უკვე ხდებოდა ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზის მიხედვით. თუ მანამდე მთელ რეგიონში მხოლოდ ერთი საშუალო სკოლა – ქალაქის ათწლედი იყო, მის გვერდით აღმოცენდნენ ქალაქის II (ყოფილი ჭალის სკოლა), რკინიგზის №16 (შემდგომში №12, ხოლო შემდეგ III), №17 (შემდეგ №13, შემდგომში №4) საშუალო სკოლები. ქალაქის ათწლედს ეწოდა I საშუალო სკოლა.

1937-38 სასწავლო წელში ხაშურის რაიონში იყო 9 საშუალო სკოლა (აქედან 4 ხაშურში), 32 არასრულ საშუალო და 112 დაწყებითი სკოლა (ამ დროს ქარელის რაიონის ერთი ნაწილი ხაშურის რაიონის შემადგენლობაშია). ყველა ტიპის სკოლაში სწავლობდა 20016 მოსწავლე. 97 პედაგოგს ჰქონდა უმაღლესი განათლება, ხოლო 550 საშუალო. აქედან პედაგოგიურ ინსტიტუტსა და კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში სწავლობდა 548 პედაგოგი.

1936-37 სასწავლო წელში ხაშურში გაიხსნა სამედიცინო სასწავლებელი 120 მოსწავლეზე.

მუსიკალურ სკოლაში ამავე დროს სწავლობდა 100 ბავშვი.

რაიონში კვლავ დიდი მუშაობა მიმდინარეობდა წერა-კითხვის უცოდინრობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისთვის. ამ დროს ქალაქში ეს პრობლემა უკვე მოხსნილი იყო.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

2023 წელი ზოდიაქოს ნიშნებისთვის-სამუშაო, ფული, სიყვარული, ოჯახი, ჯანმრთელობა

პირველი და უმთავრესი წესი 2023 წლისთვის – ესაა სამყაროს წონასწორობის კანონების დაცვა, შინაგანი ჰარმონიის შენარჩუნება, სიკეთის ქმნა.

ეს წელი, თავისთავად, არ იქნება მარტივი. ასტროლოგები არ ამბობენ, რომ იქნება „ნეგატიური“ წელი, რადგან ზოდიაქოს ნიშნების უმრავლესობას ექნება არჩევანის საშუალება, ასევე შესაძლებლობა, რომ ცხოვრება უკეთესი გახადოს.

პირველი და უმთავრესი წესი 2023 წლისთვის – სამყაროს წონასწორობის კანონების დაცვაა. ვარსკვლავები ხშირად გვიბიძგებენ ქაოსისკენ,განსაკუთრებით წლის დასაწყისში, რადგან ბევრი პლანეტა იქნება რეტროგრადული, მაგრამ საჭიროა შინაგანი ჰარმონიის შენარჩუნება, სიკეთის ქმნა.

აღმოსავლური კალენდრით 2023 წელი შავი წყლის კურდღლის (კატის) წელია. ის 2023 წლის 22 იანვარს დადგება და 2024 წლის 9 თებერვლამდე გაგრძელდება. კურდღელი მშვიდობიან მეოჯახე ცხოველად არის მიჩნეული და 2023 წელიც სწორედ ასეთი შეიძლება იყოს.

კონკრეტულად როგორი წელი ექნებათ ზოდიაქოს თითოეული ნიშნის წარმომადგენლებს – გაეცანით ჩვენს ჰოროსკოპს:

ვერძი

ბიზნესი: რთული და არაპროგნოზირებადი 2022 წლის შემდეგ თქვენი პროფესიული საქმიანობა ისევ წინ წაიწევს. ეს, სავარაუდოდ, თებერვლიდან დაიწყება. თქვენი მფარველი პლანეტა მარსი პირდაპირ მოძრაობას დაიწყებს და თქვენს ცხოვრებაში დაიწყება აღდგენის, წინსვლის პერიოდი. შესაძლებელია კოლეგებთან შეწყვეტილი კონტაქტების, თანამშრომლობის ნელი და თანდათანობითი აღდგენა.

ფული: ფინანსური თვალსაზრისით 2023 ცუდი წელი არ იქნება. ბევრ თქვენგანს ექნება საშუალება,დაიკავოს უფრო მაღალი მატერიალური საფეხური და ეს ცხოვრების ყველა სფეროზე აისახება. ფინანსური კუთხით საუკეთესო თვეებია იანვარი, მაისის მეორე ნახევარი, ივნისი, სექტემბრის მეორე ნახევარი და დეკემბერი.

სიყვარული, ოჯახი: პირად ცხოვრებაში ვითარება სხვადასხვაგვარად შეიძლება განვითარდეს. სტაბილურობისა და პროგნოზირებადობის პერიოდები, რომელიც წლის პირველ ნახევარს ახასიათებს, შეიცვლება მგზნებარე ვნებებით მოცულ პერიოდებზე მეორე ნახევარში. წყვილები, რომლებსაც პრობლემები აქვთ, შეიძლება მორიგ რთულ სიტუაციებს წააწყდნენ, ამ შემთხვევაში, უფრო მატერიალურ პრობლემებთან დაკავშირებით. ამ მხრივ საყურადღებოა ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი.

ჯანმრთელობა: წლის უმეტეს პერიოდში მხარს დაგიჭერთ იუპიტერი,ენერგიის მძლავრი წყარო, ამიტომ დაავადებები ნაკლებად შეგაწუხებთ. ყურადღება გმართებთ ოქტომბერ-ნოემბერში - ამ დროს მომატებული იქნება ტრავმული საფრთხეები. იფრთხილეთ საჭესთან.

კურო

სამუშაო: პირობითად 2023 წელი ორ განსხვავებულ პერიოდად შეიძლება დავყოთ. წლის პირველ ნახევარში მოგიწევთ 2022 წლის შემოდგომა-ზამთარში შექმნილ პრობლემებში გარკვევა, ნიადაგის მომზადება ახალი ციკლისთვის, რომელიც მაისში დაიწყება. ახალი წლის პირველ თვეებში მეწარმეებს შეუძლიათ საორგანიზაციო ხასიათის ღონისძიებების დაწყება.

ფული: ფინანსური კუთხით ყველაზე რთულია წლის პირველი თვეები, განსაკუთრებით კი - იანვარი. სავარაუდოდ,მოგიწევთ ძველი ვალის გასტუმრება, ფულის ჩადება საქმის განვითარებაში,რთული ყოფითი საკითხების გადაწყვეტა.

სიყვარული, ოჯახი: პირად ცხოვრებაში ორი სხვადასხვა ტენდენცია იქნება. ბევრი თქვენგანი შეუდგება ახალი საცხოვრებლის მოწყობას ან ძველის კაპიტალურ რემონტს. ეს კარგი სიახლეა წყვილებისთვის, რომელთა ურთიერთობები მტკიცე და სტაბილურია.

მეორე შემთხვევაში შესაძლებელია განქორწინება, განშორება, და ახალი საცხოვრებელი ამ შემთხვევაში განცალკევების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ჯანმრთელობა: წლის პირველ ნახევარში ენერგეტიკული პოტენციალი ნაკლებია,ამიტომ ყურადღება უნდა მიაქციოთ ჯანმრთელობას განსაკუთრებით მარტის ბოლოს, აპრილში. საჭესთან საფრთხე მომატებული იქნება იანვარსა და ოქტომბერში

ტყუპი

სამუშაო: პროფესიული თვალსაზრისით 2023წელი არცთუ მარტივი აღმოჩნდება. ის შეიძლება სამ განსხვავებულ პერიოდად დაიყოს. მაისამდე პერიოდი იქნება წინა წელს შექმნილი რთული პრობლემებიდან გამოსვლის დრო. ამ მხრივ ყველაზე რთული იანვარია. თებერვალსა და მარტში ვითარება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. შესაძლებელია იქნება პროფესიული პოზიციების გამტკიცებ, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ფული: ფინანსური კუთხით სტაბილური წელი არ იქნება,რაც არაა გასაკვირი საქმეების ასეთი მიმდინარეობის გამო. მაგრამ მაინც შეძლებთ ძირითადი მიმდინარეობის შენარჩუნებას. კარგი თანხის გამომუშავებაა შესაძლებელი თებერვლის ბოლოს, მარტში, აპრილსა და ივლისში. ზაფხულში ხარჯები გელოდებათ, ხოლო შემოდგომაზე ფულის ჩადება მოგიწევთ რეალური პრობლემების მოგვარებისთვის როგორც სამსახურში, ისე პირად ცხოვრებაში.

ოჯახი, სიყვარული: პირადი ცხოვრებისთვის უფრო პერსპექტიულია წლის პირველი ნახევარი. თებერვლიდან აპრილის ჩათვლით გაგიჩნდებიან ახალი მეგობრები, მათ შორის შეიძლება სიყვარულსაც შეხვდეთ. დიდხანს გასტანს თუ არა ეს რომანი, ამას დრო აჩვენებს, მაგრამ გაგრძელების შანსი არის. წლის მეორე ნახევარში გაგიჩნდებათ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გეგმები. შესაძლებელია ახალი საცხოვრებლის შეძენა, დიდი რემონტი და სხვა ყოფითი ღონისძიებები.

ჯანმრთელობა: თქვენთვის აუცილებელია შინაგანი წონასწორობის მოპოვება, წინააღმდეგ შემთხვევაში პრობლემებია მოსალოდნელი. თქვენი იმუნიტეტი და მთლიანობაში, ჯანმრთელობა ემოციურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ენერგიას გაუფრთხილდით იანვარში,რადგან ძალზე აქტიური თვე გელოდებათ.

კირჩხიბი

სამუშაო: პროფესიული თვალსაზრისით აქტიური, კაშკაშა და დინამიკური წელია. ცოტა ხნის წინ დაწყებული საქმე გაგრძელდება, გამოჩნდებიან ახალი თანამოაზრეები, რომლებიც დაგეხმარებიან საქმის წინ წაწევაში. შესაძლებელია კარიერული ზრდა, ახალი სამუშაოს შოვნა. ამის ალბათობა უფრო მარტის მეორე ნახევარში ან აპრილშია.

ფული: საკმაოდ კარგი წელია ფინანსური კუთხით. ფული რეგულარულად გექნებათ და რაოდენობაც შესამჩნევად გაიზრდება. ეს პოზიტიური პროცესი შემდგომშიც გაგრძელდება. ბევრი თქვენგანი, ვისაც აქვს სესხი აღებული, შეძლებს ვალების გასტუმრებას.

სიყვარული, ოჯახი: თუ პროფესიული ცხოვრება კარგად და მკაფიოდ ვითარდება, პირად ცხოვრებაში სიცხადე ნაკლებად იქნება. ნერვოზულობა, გაურკვევლობა შეიძლება მთელი წელი გაგრძელდეს შეყვარებულებისა თუ მეუღლეების ცხოვრებაში. ოქტომბერსა და ნოემბერში გასაგები გახდება, საით მიდის ეს ყველაფერი. თუ საერთო ბიზნესი, საქმეები და ფინანსები გაქვთ, ვითარება უფრო დამძიმდება.

ჯანმრთელობა: ენერგეტიკული პოტენციალი საკმაოდ მაღალია. გარკვეული პრობლემებია შესაძლებელია იანვარ-თებერვალში, მაგრამ მარტის დადგომისთანავე უსიამოვნებები წარსულს ჩაბარდება.

ლომი

სამუშაო: საკმაოდ კარგი წელი გელოდებათ. ეს საგრძნობი გახდება აპრილი-მაისიდან, როდესაც იღბლის, წარმატების გიგანტური პლანეტა იუპიტერი დიდი ხნით განთავსდება თქვენი ცის პროფესიულ სექტორში. მეწარმეებსა და ხელმძღვანელებს გქონდეთ დიდი გარიგებების, შემოსავლების გაზრდის იმედი, ხოლო მომსახურე პერსონალს - ახალი თანამდებობის.

ფული: ფინანსური თვალსაზრისით 2023 წელი ცუდი არაა,ყოველ შემთხვევაში, წინა წელთან შედარებით ბევრად უკეთესი იქნება. საუკეთესო პერიოდებად მატერიალური კუთხით იქნება მაისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი.

სიყვარული, ოჯახი: მარტივი პირადი ცხოვრება არ გელოდებათ. რთული, მაგრამ აუცილებელი განახლების პროცესი მიგიყვანთ იქამდე,რომ ბევრი რამის გადახედვა მოგიწევთ პარტნიორთან და არც დაშორება არაა გამორიცხული. შესაძლოა, ახალი სიყვარულიც გამოჩნდეს და ძველზე სწორედ ამიტომ თქვათ უარი. ამ მხრივ კრიტიკული თვეა ნოემბერი, როდესაც ყველა „წითელი ხაზი“ გავლილი გექნებათ.

ჯანმრთელობა: ამ წელს თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი შესამჩნევად გაიზრდება და განსაკუთრებულად ამას აპრილ-მაისში იგრძნობთ. რთული თვეები იქნება იანვარი და ნოემბერი.

ქალწული

სამუშაო: შესაძლოა, მოგიწიოთ იმის გააზრება, რომ პროფესიულ საქმიანობაში ახალი ფურცლის გადაშლაა საჭირო. მიმართულების კარდინალური ცვლაა მოსალოდნელი მომსახურე პირებისთვისაც და მეწარმისთვისაც. რიგ შემთხვევაში ეს ცხოვრების სტილის შეცვლასთან იქნება დაკავშირებული. რეალურია სხვა ქალაქში ან ქვეყანაში გადასვლა.

სხვა ვარიანტით, ეს შეიძლება იყოს საქმის სრული განახლება ან ახალი ვალდებულებები ახალ ორგანიზაციაში, მაგრამ ცვლილებები უცბად არ მოხდება. უფრო მაისი-ივნისშია მოსალოდნელი. წლის პირველი თვეები კი ან გაურკვევლობაში, ან რთულ საორგანიზაციო მუშაობაში ჩაივლის, რომელიც ცვლილებებს მოამზადებს.

ფული: ფინანსური კუთხით წლის პირველი ნახევარი,უფრო ზუსტად,იანვარი-მაისი რთული იქნება. გარკვეულ „სხივს“ შემოიტანს თებერვალი, როდესაც საკმაოდ დიდი თანხის მიღებაა შესაძლებელი. წლის მეორე ნახევარში საკმაოდ პერსპექტიულია მაისი, ივნისი, სექტემბრის ბოლო, ოქტომბერი.

სიყვარული, ოჯახი: პირად ცხოვრებაში, სავარაუდოდ, გაუცხოების, გაციების რთული პროცესი განვითარდება, ოღონდ ნელი ტემპით. ეს „სტაჟიან“ შეყვარებულებს ან მეუღლეებს ეხება. მკაცრი სატურნი ურთიერთობებში წარსულში დაშვებული შეცდომებისთვის პასუხს მოითხოვს. თუ შეცდომა ბევრი არაა, ყველაფერი კარგად ჩაივლის, ხოლო თუ ბევრია, აჯობებს, საკუთარი პოზიციები ჯეროვნად შეაფასოთ და გადახედოთ თქვენს წესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე შეიძლება დაშორებაზე მიდგეს.

ჯანმრთელობა: ჯანმრთელობის კუთხით ყველაზე რთული დროა იანვრიდან აპრილის ჩათვლით პერიოდი. ამ პერიოდში გაუფრთხილდით ჯანმრთელობას, განსაკუთრებით ასაკოვანმა და დასუსტებული ორგანიზმის მქონეებმა.

სასწორი

სამუშაო: 2023 წელს ბევრი მნიშვნელოვანი და რთული ამოცანის გადაჭრა მოგიწევთ. იანვრიდან მაისის ჩათვლით 2022 წლის პრობლემების გადაწყვეტა მოგიწევთ. ეს, პირველ რიგში, ეხება ურთიერთობებს პარტნიორებთან. „დრამის დასკვნითი აქტი“ იანვარ-მარტში მოუწევს, შემდეგ ვნებები დაცხრება.

ფული: ფინანსური თვალსაზრისით მზად იყავით რყევებისთვის - ხან ზევით, ხან ქვევით. კარგი პერიოდები იქნება თებერვლის ბოლოს, მარტსა და ივლისში. პრობლემების დიდი ნაწილი ნოემბერშია მოსალოდნელი. ეს შეიძლება უთანხმოებების მიზეზი გახდეს პარტნიორებთან ან ახლობლებთან.

სიყვარული, ოჯახი: პირადი ცხოვრება დატვირთული, რომანტიკული და საკმაოდ მომხიბლავი გელოდებათ. მარტოხელები შეხვდებით საინტერესო ადამიანს და ამჯერად სერიოზული ურთიერთობების პერსპექტივა გაჩნდება - ხანგრძლივი, სექსუალური რომანი ან ბედნიერი ქორწინება. წლის მეორე ნახევარში მასშტაბური საოჯახო საქმეები დადგება დღის წესრიგში. ეს შეიძლება იყოს ახალი სახლის, აგარაკის აშენება, რემონტი, ყოფითი ღონისძიებები.

ჯანმრთელობა: თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი არცთუ მაღალია, ამიტომ გაუფრთხილდით თავს, დაიცავით ზომიერება. წლის მეორე ნახევარში არის წონაში მომატების რისკი, ამიტომ არ დაივიწყოთ ფიზიკური აქტიურობა.

მორიელი

სამუშაო: 2023 წლის პირველ ნახევარში, სავარაუდოდ, კარიერაზე ზრუნვა მოგიწევთ. ამ მხრივ საკმაოდ საინტერესოა მარტის ბოლო და აპრილი. შესაძლებელია ახალი თანამდებობა, დამატებითი ამოცანები, ეს კი ფინანსები და პატივია. ვისაც საკუთარი ბიზნესი აქვს, საქმის გაფართოებაზე, ახალ პროექტებზე იფიქრებს.

ფული: დიდი ალბათობით, 2023 წელს მთელ ყურადღებას მიმართავთ სტაბილური მატერიალური მდგომარეობის მიღწევისკენ და ბევრი რამ გამოგივათ. ფინანსური კუთხით საკმაოდ ხელსაყრელი თვეებია მარტის ბოლო, აპრილი, ივლისის ბოლო, აგვისტო, დეკემბერი, ხოლო რთულია იანვარი, თებერვალი, ოქტომბერი, ნოემბერი.

სიყვარული, ოჯახი: პირადი ცხოვრება ბარიერებთან ბრძოლას დაემსგავსება. წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი მოვლენები არ გელოდებათ, თუმცა მაისიდან დაწყებული სიტუაცია შეიცვლება და სავარაუდოდ, უკეთესობისკენ. სტაბილური ურთიერთობების მქონე წყვილებს ერთმანეთის წარმატებები გაახარებს. არაა გამორიცხული რთული ყოფითი საქმეები - რემონტი, ახალი საცხოვრებლის შეძენა.

ჯანმრთელობა: განსაკუთრებული ყურადღება ჯანმრთელობას წლის პირველ ნახევარში უნდა მიაქციოთ. ამ დროს არაა გამორიცხული ძველმა ტკივილმა გაგახსენოთ თავი, თუმცა, არც ახალია გამორიცხული. ეცადეთ, ჯანსაღი ცხოვრების წესს მიჰყვეთ.

მშვილდოსანი

სამუშაო: 2023 წელი პროფესიული თვალსაზრისით ორ სრულიად განსხვავებულ ნაწილად შეიძლება დავყოთ. პირველი - იანვრიდან მაისის ჩათვლით პერიოდი - ქაოსური, კაშკაშა და ენერგიული დრო. ბევრი შეძლებს ძველი კონტაქტების განახლებას, პროფესიულ წრეებში პოპულარობის მოხვეჭას.

ფული: ფინანსურად სტაბილური წელი გელოდებათ. ფულს რეგულარულად მიიღებთ, ხოლო წლის მეორე ნახევარში მისი რაოდენობის გაზრდაა მოსალოდნელი. მთლიანობაში, მატერიალური თვალსაზრისით საკმაოდ კარგი წელია. თებერვალში, მარტსა დ აპრილში ბედი ლატარიაშიც შეგიძლიათ სცადოთ - თქვენი მფარველი იუპიტერი დაგეხმარებათ.

სიყვარული, ოჯახი: პირად ცხოვრებაში საკმაოდ პერსპექტიულია წლის პირველი ნახევარი, კერძოდ, თებერვლიდან აპრილის ჩათვლით პერიოდი. ამ დროს შესაძლებელია ახალი ნაცნობობა, მსუბუქი გატაცებები და მგზნებარე რომანიც. შესაძლოა, მას გაგრძელება არ ჰქონდეს, მაგრამ ცხოვრებას გაგილამაზებთ. წლის მეორე ნახევარში რომანტიკული განწყობა „ჩაიფერფლება“, მაგრამ შესაძლებელია ე.წ. სამსახურებრივი რომანები.

ჯანმრთელობა: წლის პირველ ნახევარში ენერგეტიკული კუთხით არახელსაყრელია იანვარი, ხოლო თებერვლიდან აპრილის ჩათვლით ძალიან კარგია. თუ გაქვთ იმიჯის შეცვლის,სტილზე მუშაობის,პლასტიკური ოპერაციის გაკეთების სურვილი, ამაზე უკეთეს დროს ვერ იპოვით.

თხის რქა

სამუშაო: შედარებით მშვიდი წელი გელოდებათ. დიდი ცვლილებები კარიერაში,დიდი ალბათობით,არ გელოდებათ,მაგრამ სამუშაო ბევრი გექნებათ. წლის პირველ ნახევარში გაგრძელდება 2022 წელს დაწყებული საქმეები, შეძლებთ საქმეების გაფართოებას. ასევე არაა გამორიცხული რემონტის გაკეთება, საქმიანობა ნაგებობებთან, მიწის ნაკვეთებთან ან სხვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებით. ზოგიერთ შემთხვევაში ეს შეიძლება სხვა ქალაქში ან ქვეყანაში მოხდეს.

ფული: ფინანსური კუთხით „ნახტომებია“ მოსალოდნელი როგორც ზევით, ისე ქვევით. შესაძლოა, ხშირად მოგიწიოთ დიდი თანხის დახარჯვა. ამ მხრივ განსაკუთრებით რთული იქნება ივლისის ბოლო, აგვისტო, ნოემბერი. თანხის დახარჯვა, უმეტესად, მიმართული იქნება პირად და საოჯახო ცხოვრებაზე.

სიყვარული,ოჯახი: პირად ცხოვრებაში 2023 წელს ბევრი მოვლენა გელოდებათ. წლის პირველ ნახევარში ბევრი შეუდგება საცხოვრებლის მოწყობას - ზოგი თავისთვის, ზოგი შვილებისთვის. ეს, რა თქმა უნდა, თქვენს ძალისხმევას მოითხოვს. ბევრ ოჯახში მოსალოდნელია ოჯახის ახალი წევრის გამოჩენა - მატება - შვილების,შვილიშვილების სახით.

ჯანმრთელობა: 2023 წლის განმავლობაში თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი საკმაოდ მაღალი იქნება. თუ რამე პრობლემა შეგექმნათ, მალე გაივლის.

მერწყული

სამუშაო: 2023 წლის პირველი ნახევრის მთავარი ტენდენცია კოლეგებთან, მათ შორის, უცხოეთში, კავშირების განვითარება იქნება. შესაძლებელია ძველი თანამშრომლობის აღდგენა, მივლინებები, აქტიური, ნაყოფიერი მუშაობა. ხელმძღვანელებს გაგიჩნდებათ საქმის გაფართოების გეგმები, რომელთა განხორციელებაც უკვე წლის მეორე ნახევარში მოხდება.

ფული: ფინანსური თვალსაზრისით არცთუ ცუდი წელიწადი გელოდებათ. ერთადერთი გამონაკლისი შეიძლება გახდეს იანვარი, როდესაც 2022 წლის შემოდგომა-ზამთრის პრობლემები შეიძლება გაგრძელდეს. ეს პრობლემები,დიდი ალბათობით, ახლობელ ადამიანებს დაუკავშირდება. ვარსკვლავები ფულთან ყურადღებიან დამოკიდებულებას გირჩევენ. ამ წელს რისკი გაუმართლებელია.

სიყვარული, ოჯახი: მნიშვნელოვანი მოვლენები გელოდებათ პირად ცხოვრებაშიც. წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ურთიერთობები ოჯახის წევრებთან,ნათესავებთან. ბევრი თქვენგანი დაფიქრდება ახალ საცხოვრებელზე, სხვაგან გადასვლაზე. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, სხვა ქალაქში ან ქვეყანაში გადასვლაზე იყოს საუბარი.

ჯანმრთელობა: 2023 წელს თქვენი ენერგეტიკული პოტენციალი საკმაოდ მაღალია, ამიტომ სერიოზული პრობლემები ჯანმრთელობის მხრივ არ გემუქრებათ.

თევზები

სამუშაო: 2023 წლის პირველი ნახევარი აქტიური მუშაობის, ახალი მიზნებისა და ახალი იდეების პერიოდია. შესაძლებელია ადრე დაწყებული გრძელვადიანი პროექტების გაგრძელება. ამ მხრივ ყველაზე პერსპექტიული თვეებია მარტი, აპრილი, მაისი.

ფული: ფინანსური თვალსაზრისით კარგი წელიწადი გელოდებათ. ფული რეგულარულად შემოგივათ. არც მისი გაზრდაა გამორიცხული. ზოგიერთი თქვენგანი უფრო მაღალ ფინანსურ საფეხურზე ავა. ხარჯები ამ წელს დიდ შენაძენებს შეიძლება უკავშირდებოდეს - ერთ შემთხვევაში სამუშაოსთან და მეორე შემთხვევაში - პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით.

სიყვარული, ოჯახი: რომანტიკის მხრივ სტაბილურობა გელოდებათ. თუ 2022 წელს მნიშვნელოვანი შეხვედრა მოხდა, ახლა ურთიერთობები გაუმჯობესდება. თუ ჯერ არ გყავთ საყვარელი ადამიანი, მასთან შეხვედრის დიდი შანსი გაქვთ. ამ მხრივ 2023 წლის გაზაფხული-ზაფხულის იმედი უნდა გქონდეთ.

ჯანმრთელობა: 2023 წელს უპრიანი იქნება ჯანმრთელობის გაფრთხილება. მკაცრი სატურნი, რომელიც თქვენს ნიშანში დიდი ხნით მოეწყო, მოითხოვს მავნე ჩვევებზე უარის თქმას, ზრუნვას საკუთარ ორგანიზმზე და ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრებას.

შეხვედრა გერმანიის საერთაშორისო თანამეგობრობის საზოგადოების წარმომადგენლებთან

ხაშურის მუნიციპალიტეტიში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ (GGLD) ფარგლებში შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე, გერმანიის საელჩოს განვითარების

თანამშრომლობის ხელმძღვანელი ლიდია ქრისთმანი, GIZ საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი სანდრა შენკე, GGLD-ის საქართველოს კომპონენტის ხელმძღვანელი აკბარ მოჰაბატი, მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს წარმომადგენლები, საკრებულოს წევრები.

შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა, მერიის საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა ლელა მაჭარაშვილმა და მერიის გენდერული თანასწორობის საკითხებზე პასუხისმგებელმა პირმა ნინო სუხიაშვილმა წარადგინეს პრეზენტაციები საკრებულოს მუშაობის პროცესში ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალეობის, გაუმჯობესებული საჯარო ფინანსების მართვისა და თანამონაწილეობითი ბიუჯეტირების, გენდერული პოლიტიკისა და გენდერული ბიუჯეტირების შესახებ.

გაიმართა საინტერესო დისკუსია.

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტი ჩართული იყო პროგრამაში „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“. პროგრამაში წარმატებული მონაწილეობის შედეგად მიღებული საგრანტო დაფინანსება კაპიტალური პროექტებისთვის ჩვენთვის მოტივატორი აღმოჩნდა, რომ დაგვეწყო ზემო სერის ტყე-პარკის რეაბილიტაცია, რაც ხაშურის მოსახლეობის დიდი ხნის სურვილია. მნიშვნელოვანია მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტიც, რომელიც სურამის, ქვიშხეთისა და ცხრამუხის მოსახლეობის მაღალი ჩართულობით წარიმართა. იმედი მაქვს, ჩვენი თანამშრომლობა სამომავლოდ არათუ გაგრძელდება, არამედ გაღრმავდება და კიდევ მეტი სარგებლის მომტანი იქნება ჩვენი მოქალაქეებისთვის,“ - განაცხადა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ებრაელობა სურამში და მათი სამართლებრივი მდგომარეობა

ებრაელობა სურამის ეთნიკური სურათის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია. როდის დამკვიდრდნენ ებრაელები სურამში უცნობია. უნდა ვიფიქროთ, რომ მათი აქ დამკვიდრება სურამის ქალაქად ჩამოყალიბების პროცესს ემთხვევა. ამას კი ადგილი აქვს, ძვ. წ - აღ-ის IV-III საუკუნეების მიჯნაზე. სურამი ამ დროიდან მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრად ყალიბდება, რასაც ხელს უწყობდა მასზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზა. და თუ თვალს გავადევნებთ ებრაელთა განსახლებას საქართველოში, ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტს შევამჩნევთ: ებრაელთა დასახლებები უმთავრესად მნიშვნელოვან სავაჭრო ადგილებთანაა. ასეთივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე ხაშურის მუნიციპალიტეტში, სადაც ებრაელთა დასახლება ცნობილია დაბა სურამსა და სოფელ ალში. ორივე დასახლებული პუნქტი ძველ საქართველოში მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრებია და აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ გზებზე მდებარეობს. ებრაელთა ხაშურის მუნიციპალიტეტში ცხოვრება გვიანდელ წერილობით წყაროებში დასტურდება. სოფელ ალში ებრაელთა ცხოვრება დასტურდება XV საუკუნის დასაწყისის საბუთით,რომელიც წარმოადგენს ქუცნა ამირეჯიბის შეწირულობის სიგელს ულუმბის მონასტრისადმი. საბუთის მიხედვით ქუცნა ამირეჯიბმა ,,ორი კუამლი შიგ ალში ნასყიდი ურიები“ შესწირა ულუმბის მონასტერს.

ებრაელები ალში XIX საუკუნემდე გვხვდებიან. XVIII საუკუნეში მხარეში განვითარებულმა მძიმე მოვლენებმა, მხედველობაში გვაქვს ლეკიანობა, ისინი აიძულა, აქედან წასულიყვნენ და შედარებით მშვიდობიანი ადგილისთვის შეეფარებინათ თავი. ალში მათი ცხოვრების კვალის დასტურად დარჩა ტოპონიმი ,,ნაურიალები“, რომელიც ასევე საინტერესო არქეოლოგიურ ძეგლს წარმოადგენს. ს ხ ვ ა სურათთან გვაქვს საქმე სურამის შემთხვევაში. მართალია, ისტორიულ წყაროებსა და საბუთებში სურამში ებრაელთა ცხოვრება ალზე უფრო გვიან, XVII საუკუნიდან დასტურდება. 1688 წელს ,,ერთპირ სულ... ისრაელნი“ ემოწმებიან პაპუასა და თევდორე კვახიაშვილს შორის მორიგების წიგნს. 1693 წელს ქაიხოსრო ჩხეიძემ სურამში მანანაურის ბოლოს მიწა მიჰყიდა კათალიკოზ იოანე დიასამიძეს. სიგელში ნათქვამია: ,,ახალციხიდამ თქვენც ურია მათვალა გებირათ და იმის სასახლეთ გეპრიანებოდათ“. საბუთს ემოწმებიან ადგილობრივი აზნაურები. ,,ამას გარდა ამისი დამხდური და მოწმენი სრულა ყველა ერთპირი სურამის მსახური და გლეხი და ურია და ქრისტიანი“. ა ლ ი ს ებრაელობისაგან განსხვავებით, სურამის ებრაელობის შემთხვევაში საშუალება გვეძლევა, თვალი გავადევნოთ მათთან დაკავშირებულ არაერთ მოვლენას.

თავიდანვე უნდა შევნიშნოთ,რომ ფეოდალურ საქართველოში ებრაელები ცალკე სოფლებად ან უბნებად ცხოვრობდნენ. ასე იყო ალში, რაზეც მიგვანიშნებს ტოპონიმი ,,ნაურიალები“. ასე არის სურამშიც, აქ ებრაელობა ცალკე უბნად ცხოვრობს, მდ. სურამულას მარცხენა მხარეს, სურამის ციხის მახლობლად. სურამში ებრაელობა ცალკე უბნად, რომ ცხოვრობდა კარგად ჩანს უცხოურ, ამ შემთხვევაში მოსახლეობის თურქულ აღწერაში - ,,თბილისის ვილაიეთის 1728 წლის აღწერის დავთარში“, რომელშიც ებრაელები ცალკე დასახლებად არის წარმოდგენილი (1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გაკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. ს. ჯიქიამ და პროფ. ნ. შენგელიამ, თბ.2009, გვ.264).

ვახუშტი ბატონიშვილი, როცა საუბრობს სურამის მდებარეობაზე, მიუთითებს, რომ აქ ცხოვრობენ ,,ქართველნი, სომეხნი და ურიანი“(ქ ც-ა, ტ.IV, გვ.377). რაც შეეხება ალს, მასზე საუბრის დროს მიუთითებს, რომ აქ ,,მსახლობელნი არიან სომეხნი და ურიანი, მცირედ ქართველნი“(იქვე). თუ სურამის შემთხვევაში ვახუშტი ბატონიშვილი ებრაელობას, რაოდენობის თვალსაზრისით, მესამე პოზიციაზე ასახელებს, ალის შემთხვევაში, სომხების შემდეგ სახელდება. ე.ი., აქ ებრაელობა, რაოდენობრივად, სომხების შემდგომ დგას. რაც შეეხება ქართველებს, ალში ისინი მცირე რაოდენობითაა.

1770 წლის აღწერაში ნათქვამია: ,,არს მცირე ქალაქი სურამი და ამას შინა მკვიდრობენ ქართველნი, სომეხნი და ურიანი, კომლი ორასი“. ამ შემთხვევაშიც სურამში ებრაელობა რაოდენობრივად მესამე პოზიციაზე დგას. VIII საუკუნის სურამელთა და ბეკმელთა ნუსხაში არაერთი ებრაელია დასახელებული, მითითებულია მათი სოციალური მდგომარეობა:

დან[ი]ელაშვილი მეგუნა, კომლი ა.
ბათინაშვილი კაკა, კომლი ა.
ამის განაყოფი ხოსია, ბოგანო.
ამის განაყოფი მორდეხა, ბოგანო.
დან[ი]ელაშვილი ბერუჩა, კომლი ა.
ამის განაყოფი დავითა, ბოგანო.
დან[ი]ელაშვილი კოჩია, კომლი ა.
მოშიაშვილი გია, კომლი ა.
მოშია, ბოგანო.
ამის განაყოფი ყაზარა, ბოგანო.
ამის განაყოფი კაკაჩა, ბოგანო.
მამულაშვილი კობია, კომლი ა.
ამის განაყოფი მარდახა, ბოგანო.
ამის განაყოფი აბალია, ბოგანო.
ამის განაყოფი მამულა, ბოგანო.
ხოტეველი ხანანა, კომლი ა.
ამის განაყოფი აბრამა, ბოგანო.
კაცილა, ბოგანო.
დათუნიკაშვილი მოძღვარა, კომლი ა.
ამის განაყოფი ელოშვილი ბერა, ბოგანო.
არონაშვილი შიო, ბოგანო.
ამისი შვილი კაკა, ბოგანო.
ამისი შვილი სერიელა, ბოგანო .

სურამელი ებრაელების ერთი ნაწილი ვაჭრობასა და ხელოსნობას მისდევდა. უმეტესი ნაწილი კი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. ამ საქმიანობით დაკავებული იყვნენ ისინიც, ვინც ვაჭრობა-ხელოსნობას ეწეოდა.

ებრაელების საქმიანობის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის მოსახლეობის უცხოენოვანი აღწერის მასალები. მხედველობაში გვაქვს თურქულენოვანი თბილისის ვილაიეთის 1728 წლის დავთარი,რომელშიც ცალკეა გამოყოფილი სურამში ებრაელთა დასახლება. დავთარში დაფიქსირებულია ებრაელთა 46 კომლი (ოჯახი) .

ებრაელებზე შეწერილი გადასახადებიდან კარგად ჩანს მეურნეობის ის დარგები, რასაც ისინი მისდევდნენ. ეს დარგებია: მიწათმოქმედება, მევენახეობა, მესაქონლეობა და სხვა.

ებრაელები ისეთივე გადასახადებს იხდიან, რასაც ქართველი თუ სომეხი მოსახლეობა.

ერთ-ერთი მთავარი გადასახადი იყო ისფენჯი. პროფ. ვ. გაბაშვილის მიხედვით ეს გადასახადი ქრისტიანებისთვის იყო დაწესებული და იხდიდა ყველა (დაქორწინებული თუ დასაქორწინებელი) ნებართვაში - ეწარმოებინა მეურნეობა. ისფენჯის გარეშე მიწაზე მეურნეობას ვერავინ გაბედავდა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ებრაელები გადასახადს იხდიან თავიანთი რელიგიური კუთვნილებიდან გამომდინარე და ნებართვაში, აწარმოონ მეურნეობა. გადასახადი შეადგენდა 1500 ახჩას. ერთი ებრაული კომლი იხდიდა 33 ახჩას. ებრაელები იხდიან არუსენას გადასახადს. იგი შეადგენდა 120 ახჩას. პროფ. ნ. შენგელიას განმარტებით, ამ გადასახადს იხდიდა ის ვინც ქორწინდებოდა. ე.ი. აღნიშნული გადასახადი საქორწინო გადასახადი იყო.

ერთ-ერთი გადასახადი, რასაც ებრაელები იხდიან, არის დეშთიბანი, მიწაზე თაფუს გადასახადი, რომელიც 80 ახჩით განისაზღვრება.

ზემოთ მოტანილ დოკუმენტში ყურადღებას იქცევს მინიშნება ,,ბოგანო“. ძველი ქართული სამართლის მიხედვით, ბოგანო ვენახის არმქონეს ეწოდებოდა. ე.ი. სურამელი ებრაელების საქმიანობის ერთ-ერთ დარგი მევენახეობაა.ებრაელები იხდიან უშრის გადასახადს - ხილზე 80 ახჩის ოდენობით. საერთოდ უშრის გადასახადს იხდიან ვენახზე, ბოსტნეულზე, ხილზე და ა.შ. ხილზე გადასახადს თითოეული ებრაული ოჯახი იხდის 2 ახჩამდე. რაც შეეხება ვენახზე გადასახადს, მითითებულია, რომ ერთ დონუმზე გადასახადია 40 ახჩა, სულ 540. 1 დონუმი 40 ნაბიჯია. ამრიგად, ებრაელებს ჰქონიათ 14 დონუმი ვენახი. აღნიშნული გადასახადი, კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ებრაელები მისდევდნენ მეურნეობის ისეთ დარგს, როგორიც მევენახეობაა. მართლაც, XVIII საუკუნის არაერთ საბუთში გვხვდება აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია. ასე მაგალითად, 1743 წლის მარტის დამდეგს ბერიკაშვილმა მამულამ ,,სამკვიდრო ვენახი“ მიჰყიდა მურვანიშვილებს: ,,...ნასყიდობის წიგნი და პირი დაგიწერე და მოგეც მე, ბერიკასშვილმა მამულამა და ჩემა შვილისშვილმა მარდეხამა... თქვენ მურვანიშვილს მურვანს... დამეჭირა და მოგყიდე ჩვენი სამკვიდრო ვენახი თქვენის ვენახის გვერდზედა ჩემი წილი“.

XVIII საუკუნის 90-იანი წლების საბუთის მიხედვით, რევაზ აბაზაძემ თავისი წილი ვენახი მიჰყიდა იოსებასშვილ ყაზარას და მის შვილებს - შაბათას, ისრაელას, ელიას, დანიელას, ბინიას და იოსებას. ერთ-ერთ მხარეს საზღვრად სახელდება ყობიას და მამულას ვენახის მიდგმა.

1795 წლის 20 ივლისს, ,,ყაზარაშვილმა ბინია ურიამ“ გიორგი აბაშიძეს მიჰყიდა მისგანაც ,,მოსყიდული ტუკაძისეული ვენახი“.
1862 წლის 26 ივნისს აზნაურ ზურაბ მურვანიშვილი ქვრივმა სურამში მცხოვრებ შამელ, დავით, აბრამა და ბინო მოშეს ძე ფიჩხაძეებს მიჰყიდა ნაზვრევის მესამედი ,,...თავის ჭურმარნითა და საწლნახნითა და საქაჩავის ქვებითა“. მანვე ფიჩხაძეებს მიჰყიდა ნავენახარი ფიჩხაძეების ,,...ვენახის თავზედ მდებარე“. ნასყიდობის წიგნში ნავენახარის სამხრეთის მხრის საზღვრად დასახელებულია მათივე, ,,ფიჩხაძეთა ვენახი“.
ერთ-ერთი გადასახადია ბადი ჰავა, რომელიც გაერთიანებულია სხვა გადასახადებთან ერთ ჯგუფში. ბადი ჰავა ყოველწლიური გადასახადია. მასთან გაერთიანებულია ჯურუმ ჯიბაიეთი - გადასახადი დანაშაულზე. იავა ვე კაჩკუნ - დაკარგული საქონლის,აყრილ-გაქცეული რაიას (გლეხის) შემთხვევაში დაკისრებული გადასახადი. მალი გაიფ ვე მალი მეფკუდ ჯგუფის გადასახადების ფულადი გამოხატულება 80 ახჩაა.

გადასახადებს ებრაელები იხდიან ნატურითაც, რომელიც ასევე გამოხატულია ფულად ერთეულშიც. ეს გადასახადებია: ხორბალი - ქილა 50, ახჩა 1000. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ერთი სტამბოლური ქილა 25 კგ-ია, ებრაელები იხდიან 50 ქილა X 25 კგ = 1250 კგ ხორბალს. ერთი კომლი იხდის 1250 კგ : 46 = 28 კგ ხორბალს.
ქერი - ქილა 20, ახჩა 500. 20 X 25 კგ = 500 კგ. ერთი კომლი იხდის 500 : 46 = 11 კგ ქერს.
იგივე რაოდენობის გადასახადია შეწერილი ჭვავსა და ფეტვზე.
გადასახადს იხდიან:
ერბოზე (120 ახჩა : 46 კომლი = 3 ახჩა).
თივაზე (80 ახჩა : 46 = 2 ახჩა).
ცხვარზე (150 ახჩა : 46 = 4 ახჩა).
ღორზე (60 ახჩა : 46 = 2 ახჩა).
ქართველი ებრაელები სოციალურად ერთგვაროვანი არ იყო. იყვნენ მდიდრები და ღარიბები, იყვნენ ყმები და მებატონეებიც. ყმა ებრაელები ისევე ეწეოდნენ ბატონყმურ უღელს, როგორც ქართველი ყმა-გლეხობა. ეროვნული კუთვნილებიდან გამომდინარე, ისინი არანაირ დისკრიმინაციას არ განიცდიდნენ. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა ის, რომ ქართველების მსგავსად ისინი ფლობდნენ უძრავ ქონებას - მამულს. ეს მაშინ, როცა შუა საუკუნეებში კი არა, მოგვიანებითაც კი, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ებრაელებს უძრავი ქონების შეძენის უფლება არ ქონდა.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

მცირე ბიზნესი ხაშურში - განვითარების პერსპექტივები

“ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა - მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი 4” ინიცირებული და დაფინანსებულია bp-სა და მისი პარტნიორების მიერ საქართველოს მილსადენის კომპანიაში.

პროექტის მეოთხე ფაზა 2022 წლის იანვარის შუა რიცხვებში დაიწყო და 2026 წლის იანვრის ბოლომდე გაგრძელდება. საქართველოს მასშტაბით, პროექტი მოიცავს ასოცდაერთ სამიზნე სოფელს, ხაშურის მუნიციპალიტეტში - ცამეტს. პროექტის მიზანია დასავლეთის მიმართულების საექსპორტო (ბაქო-სუფსის) მილსადენის გასწვრივ მდებარე სამიზნე თემებში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა მცირე ბიზნესის განვითარების გზით. პროექტს ახორციელებს კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი CTC.

პროექტის მიზნის მისაღწევად, გათვალისწინებულია სხვადასხვა ღონისძიებები: საინფორმაციო კამპანიები, საგრანტო კონკურსები, ტექნიკური და პროფესიული ტრენინგები, კონსულტაციები, მონიტორინგი და სხვ.

გაზეთი „ხაშურის მოამბე“ ამჯერადაც დაინტერესდა აღნიშნული პროექტის მიმდინარეობით. დეტალებზე, პროექტის მენეჯერი, მარიანა ლოთიაშვილი გვესაუბრა.

- წელს, „ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა-მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი 4“ განხორციელდა, თუ იყო ცვლილებები და რას გულისხმობს?

-წელსაც, პროექტის არსი იგივე რჩება, ანუ ეს არის მცირე მეწარმეთა მხარდაჭერა საგრანტო კონკურსებისა და შემდგომი სწავლების მეშვეობით, ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ ჩამოყალიბებაში, მათ საქმიანობას, როგორც მდგრად ბიზნესებს. რაც შეეხება ცვლილებებს, დაინერგა რამდენიმე საინტერესო ინოვაცია. პირველ რიგში, ეს არის მხარდაჭერის მასშტაბის გაფართოვება. წინა წლებში, ჩვენ დავრწმუნდით, რომ ადგილებზე არის უფრო მსხვილი საწარმოების შექმნის პოტენციალი, ისეთების, რომლებიც არა მარტო პირველად წარმოებაზე იქნებიან ორიენტირებული, არამედ გარკვეული ღირებულების დამატებაზე. მხედველობაში მაქვს გადამუშავება, შეფუთვა და ბრენდირება, შენახვა, ბაზარზე მიწოდება და სხვ. მეორე ინოვაციაა - გარემოზე ზემოქმედების შემცირება ბენეფიციართა ცნობადობის ამაღლებისა და ეკოლოგიური წარმოების დანერგვის მეშვეობით. მესამე ინოვაცია არის საინფორმაციო უნარების გაუმჯობესება და ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა.

- საგრანტო თანხა რამდენით განისაზღვრა წელს?

-დამწყებ მეწარმეებს შეეძლოთ განაცხადის წარმოდგენა 5000 ლარამდე თანხაზე, ხოლო არსებულებს - 10000 ლარამდე. ისევე, როგორც წინა წლებში, აუცილებელ პირობას წარმოადგენდა კონკურსანტების თანადაფინანსება მოთხოვნილი თანხის 30%-ს ოდენობით დამწყები ბიზნესის შემთხვევაში და 40%-ის ოდენობით - არსებული ბიზნესის შემთხვევაში.

- რამდენი დაფინანსებული ბენეფიციარია?

-ხაშურის მუნიციპალიტეტის ცამეტი სამიზნე სოფლიდან შემოვიდა ოცდათერთმეტი განაცხადი, თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ ნახევარზე მეტი აქედან მიმართული იყო მიწის დამუშავების მომსახურებაზე მცირე მექანიზაციის საშუალებებით, ე.წ. „აგროსერვისი“. საბოლოო ჯამში დაფინანსდა სამი დამწყები ბიზნესი - მარწყვის წარმოება, აგროსერვისი და სარემონტო სახელოსნო. ყველა მათგანმა შეიძინა მოთხოვნილი კაპიტალური აქტივები და შეუდგა საქმიანობას.

- რა ტიპის სირთულეები იყო მოსახლეობასთან მუშაობის/კომუნიკაციის დროს?

-ჩვენ ვცდილობთ ,ადამიანებს ვაფიქრებინოთ ბიზნესის, ანუ მოთხოვნის, ბაზრის და მოგების კატეგორიებით, თუმცა აზროვნების ინერტულობა, არცთუ დაბალია. ასე, აგროსერვისის განაცხადების უმეტესობა ირიბად გულისხმობს ტექნიკის გამოყენებას საკუთარი საჭიროებებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ბენეფიციარები საპირისპიროს შეიძლება ამტკიცებდნენ. მცირე აგროტექნიკა ხშირად წარმოადგენს არა შემოსავლის წყაროს, არამედ პირადი შრომის შემსუბუქების საშუალებას. პროექტი კი ისწრაფვის იმისკენ, რომ ბენეფიციარებმა აწარმოონ პროდუქტი ან მომსახურება, რომლებიც მყიდველს ჭირდება და რომლისთვისაც ის მზად არის გადაიხადოს თანხა. იმედი გვაქვს, რომ ამ ტენდეციას და ერთმანეთის ერთგვარ „წამხედურობას“ ნაწილობრივ მაინც დავძლევთ.

თუმცა, სასიხარულოა, რომ მოსახლეობა, ზოგადად, კეთილგანწყობილია პროექტის მიმართ, ადამიანები ხედავენ მასში ეკონომიკური გაძლიერების რეალურ საშუალებას. ამიტომ, ინტერესი და, შესაბამისად, კონკურსში მონაწილეთა რიცხვი დიდია. სამწუხაროდ, ჩვენ არ გაგვაჩნია ყველა კონკურსანტის დაფინანსების საშუალება და ზოგი მონაწილე იმედგაცრუებული რჩება. თუმცა, აბსოლუტური უმრავლესობა ადეკვატურად რეაგირებს წარუმატებლობაზე. მადლობა უნდა ვუთხრა ყველას, გაგებისა და სწორი დამოკიდებულებისთვის.

-წელს, თუ არსებობდა პრიორიტეტული მიმართულებები, დაფინანსების მისაღებად?

-საგრანტო კონკურსის პრიორიტეტული მიმართულებებია: სასოფლო–სამეურნეო, სამრეწველო, გადამამუშავებელი და შემნახველი წარმოება, კლიმატგონივრული და ბიო/ორგანული წარმოება, დივერსიფიკაცია და ინოვაციური ტექნოლოგიები, ღირებულებათა ჯაჭვის შექმნა და სხვ. რასაკვირველია, ადამიანებმა თავად უნდა გაანალიზონ, თუ რა ბიზნეს-იდეა უკეთესად ჩაეწერება აღნიშნულ კონტექსტში. ჩვენი მხრივ, მზად ვართ, რჩევებით დავეხმაროთ დაინტერესებულ პირებს.

- როგორ ფიქრობთ, პროექტის მიზანი, ხელი შეუწყოს მოსახლეობის ეკონომიკურ კეთილდღეობას, რამდენად ხორციელდება?

-პროექტისადმი ინტერესი არ განელებულა ათი წლის განმავლობაში, რაც ის არსებობს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ, პირიქით, მატულობს. მხოლოდ წელს, საქართველოს მასშტაბით, ხუთასზე მეტი განაცხადი მივიღეთ. რა თქმა უნდა, ეს პირველ რიგში იმიტომ, რომ პროექტი პასუხობს ადგილობრივი მოსახლეობის ძირეულ საჭიროებას - შემოსავლის მიღებას და, აქედან გამომდინარე, ოჯახის კეთილდღეობის ზრდას. როგორც ჩვენს მიერ ადრე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, თითოეული მხარდაჭერილი მეწარმე თვეში 500 ლარზე მეტს გამოიმუშავებს მოგების სახით, აქედან, დაახლოებით ნახევარს ოჯახის საჭიროებებზე ხარჯავს. თანაც, უმეტეს შემთხვევაში, მათ არ უწევთ კვირაში ხუთი დღე რვასაათიან რეჟიმში მუშაობა. და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ჩვენი მხარდაჭერილი მეწარმეები უზრუნველყოფენ შიდა ბაზარს საჭირო პროდუქტებით და მომსახურებით, რომლის ჯამური ღირებულება, 2012 წლიდან დაწყებული დღემდე, ცხრა მილიონ ლარზე მეტია.

პროექტის სარგებლიანობაზე, კმაყოფილებით საუბრობენ ის მეწარმეები, რომლებმაც გარკვეული ფინანსური სარგებელი უკვე მიიღეს, საკუთარი საქმე გაუჩნდათ და ყველაფერს ბიზნესის კუთხით განიხილავენ, სოფლად დამაგრდნენ და იმ საქმეს აკეთებენ, რომელიც იციან. ამბობენ, რომ შესაძლებლობა, რომელიც,

მათ bp-მ მისცა, ძალიან მნიშვნელოვანი ხელშეწყობა იყო მათთვის, მათი ოჯახებისთვის და სოფლისთვისაც კი, რადგან ისინი, თავიანთი საქმით, სხვა სოფლებსაც ემსახურებიან და მოსახლეობას შრომას უადვილებენ.

***

მალხაზ ხარაზიშვილი სოფელ კლდისწყაროს მკვიდრია, 23 წლისაა და სოფლიდან არ წასულა, როგორც დანარჩენი მისი თანატოლები. რადგან ხელობა მამისგან ისწავლა, გადაწყვიტა, პროექტში მიეღო მონაწილეობა და დაფინანსების შემთხვევაში, თავისი და მამის საქმიანობა, უფრო მრავალფეროვანი გაეხადა, იმ ხელსაწყოების მეშვეობით, რომელიც ჭირდებოდა, თან მაგალითიც ყოფილიყო ახალგაზრდებისთვის, რომ სოფელშიც შეგიძლია დოვლათის შექმნა:

-რამდენიმე წელია, ჩვენs სოფელში, აღნიშნული პროექტი ხორციელდება და ჩემი მეზობლები, რომლებიც დაფინანსდნენ და დღემდე თავიანთი საქმე აქვთ, გვირჩევდნენ, ჩვენც მიგვეღო მონაწილეობა. წელს, გადავწყვიტე, მეც მეცადა ბედი, დავუკავშირდი ქალბატონ ნინო მძინარაშვილს და გავიარე კონსულტაცია, დავწერე ბიზნეს იდეა და მეორე ეტაპზე გადავედი, რომელიც ონლაინ ფორმატის სწავლებებს, ტრენინგებს მოიცავდა. ჩემი სურვილი იყო, სამშენებლო-სარემონტო სამუშაო იარაღით მომარაგება. ხელოსანი ვარ ოთხი წელია, მამისგან ვისწავლე ხელობა. სოფლებში, ხელოსნებზე დიდი მოთხოვნა იყო. რადგან მამასაც და მეც ერთი საქმე გვქონდა, გადავწყვიტეთ, სახელოსნო ხელსაწყოების მარაგი გაგვეზარდა, რაც გვაკლდა-დაგვემატებინა და გაგვეახლებინა. ეს შრომისუნარიანობას გაზრდიდა და საქმესაც გაგვიადვილებდა. დამაფინანსეს და ამ თანხით, ყველა ის ხელსაწყო შევიძინე, რომელიც მჭირდებოდა. ახლა, თითქმის ყველანაირი მომსახურების გაწევა შეგვიძლია, რაც სამშენებლო საქმეს ეხება. ვიბარებთ ნახაზს და უკვე აშენებულ ობიექტს ვაბარებთ. ხაშურის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ვიღებთ შეკვეთებს, რასაც აქამდე, ხელსაწყოების სიმცირის გამო, ვერ ვაკეთებდით, ეს შეზღუდვა აღარ არსებობს. გარდა ამის, დამატებითი მუშა-ხელიც დავასაქმეთ. ამ პროექტის მეშვეობით, სხვა ადამიანებსაც გავუჩინეთ საქმე.

როგორც ახალგაზრდას, დიდი სტიმული მომეცა და იმის განცდა, რომ ბევრი რამის კეთების საშუალებას გაძლევს ეს პროექტი. როგორც მე მირჩიეს, ახლა მეც გავცემ რჩევებს იმ ადამიანებზე, ვისაც ჰგონია, რომ არ გაუმართლებს, ვისაც შიში აქვს სიახლეების, ვისაც სოფელი მიტოვებულად მიაჩნია. მადლობა, bp-ს, ამ სტიმულისთვის, რომ ადამიანებს, მომავლის პერსპექტივას უტოვებს.

ბადრი გოგალაძე სოფელ დუმაცხოვში ცხოვრობს, მიუხედავად პროექტში მონაწილეობის პირველი წარუმატებელი მცდელობის, არ დანებდა და მეორე მცდელობამ გაამართლა. ახლა შედეგითაც კმაყოფილია და ელოდება გაზაფხულს, რომ პროექტით მიღებული ტრაქტორით, აქტიურად ჩაერთოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში:

-პირველად, თუტკრის მოშენება მოვითხოვე და არ დავფინანსდი, მეორედ ისევ ვცადე. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის, ტრაქტორი მჭირდებოდა, სამეზობლოშიც არ იყო. სტანდარტულად, მეც ყველა ის პროცედურა გავიარე-ბიზნეს იდეიდან-პროექტის წერამდე-დამაფინანსეს პატარა მოტობლოკი ტრაქტორით, თავისი აგრეგატებით. პატარა ტრაქტორი ოჯახშიც გვქონდა, მაგრამ იმით ყველა სამუშაოების ჩატარება, შეუძლებელი იყო. ახლა უკვე შემიძლია, ჩემი საქმეც გავაკეთო და მეზობლების საქმეც ავიღო. რადგან ახალი დაფინანსებული ვარ, მხოლოდ საშემოდგომო საქმეები ვაკეთე და ველოდები გაზაფხულს. ვაწარმოებ ხარჯთაღრიცხვას. აქამდე, არ ვითვლიდი ხარჯებს, ახლა უკვე ვიცი, რა როგორ გავაკეთო. ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია, სხვებსაც ვურჩიო, შეცვალონ თავისი ეკონომიკური მდგომარეობა, ამ პროექტის საშუალებით.

ყოველწლიურად იზრდება, იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებსაც bp-მ საშუალება მისცა, საკუთარი საქმის წარმოების და მიზანი, ამ პროექტის, სწორედ ესაა- ეკონომიკურად ძლიერი ოჯახი. მოსახლეობა, იმედს გამოთქვამს, რომ პროექტი მომავალშიც სიცოცხლისუნარიანი იქნება და უფრო მეტ ადამიანს მიეცემა შანსი, შეცვალოს თავისი ცხოვრება.

თ. ჯავახიშვილი

თენგიზ ჩიტიაშვილი: მჯერა, რამდენიმე წელში, ხაშური სულ სხვა ქალაქი იქნება-ბევრად ლამაზი და კეთილმოწყობილი

(დასასრული)

–უკვე დასრულდა მოლაპარაკებები თურქულ მხარესთან, ტექნიკური შეთანხმებები მიდის მხოლოდ. სურვილი აქვთ, ყველაზე კრიზისული ადგილებიდან დაიწყონ მუშაობა. პროექტი, ოთხი წლის განმავლობაში დასრულდება.

- უმუშევრობის დონე როგორია ჩვენს ქალაქში? დამეთანხმებით, ყველაზე მთავარ გამოწვევად, როგორც ჩვენი ქვეყნისთვის, ისე ქალაქისთვის, ეს პრობლემაა.

–ჩვენ არ გვაქვს იმის ზუსტი მონაცემები, თუ რამდენი უმუშევარია ჩვენს მუნიციპალიტეტში. თუმცა, როგორც სხვა მუნიციპალიტეტებში, ჩვენთან ეს პრობლემა ისე მწვავედ არ დგას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს პრობლემა არ არსებობს. მუშაობს კერძო სექტორი, სადაც შესაძლებელია დასაქმება. ჩვენი მხრივ, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ მეტი სამუშაო ადგილი შევქმნათ/

- რას ველით 2023 წელს, როგორი წელი ელოდება ხაშურის მოსახლეობას?

–დაიწყება წყლის პროექტი, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში მოიცავს ქალაქს. ამ პროექტის განხორციელებას, ბუნებრივად მოყვება დისკომფორტი ქუჩებში. მინდა, ვთხოვო მოსახლეობას, გაგებით მოეკიდონ ამ ამბავს. მაგრამ ამ სიკეთის მისაღებად, ეს დისკომფორტი მისაღებია. ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას, რომ პრიორიტეტები ისე გადავანაწილოთ, რომ ყველა სიკეთე, ჩვენს მიერ განხორციელებული, თანაბრად მიიღოს მოსახლეობის ყველა ნაწილმა. გასულ წელს, ჭალის და შინდარის დასახლებაში, ვერაფერი გავაკეთეთ, რადგან გზების ინფრასტრუქტურაა მოსაწყობი. ერთგვარ უხერხულობას ვგრძნობ მოსახლეობის მიმართ. მადლობა, მოსახლეობას ასეთი მოთმინებისთვის. მჯერა, რომ რამდენიმე წელში, ხაშური სულ სხვა ქალაქი იქნება-ბევრად ლამაზი და კეთილმოწყობილი. ამის თქმის საშუალებას, ის პროექტები მაძლევს, რომლებიც ეტაპობრივად განხორციელდება. ვფიქრობ, ერთობლივი ძალისხმევით, იმედიანი წელი გველოდება წინ.

- რა მოგცათ ერთწლიანმა მუშაობის გამოცდილებამ?

–რთული ყოფილა მუნიციპალიტეტში მუშაობა. სხვა სისტემიდან მოვედი, სხვა სპეციფიკიდან. როდესაც მოდის მოქალაქე, რომელსაც სახლი არ აქვს და დახმარებას გთხოვს, რთულია, უთხრა, რომ სახელმწიფოს არ აქვს დამხარების პროგრამა ასეთი შემთხვევებისთვის, ძალიან მძიმე და რთულია ჩემთვის, როგორც მერისთვის და ადამიანისთვის. ბევრი პრობლემაა, ბევრი გამოწვევა. დავინახეთ, სად გვაქვს უფრო მეტად სამუშაო, ჩვენი კომპეტენციის და შესაძლებლობის ფარგლებში, რისი მოგვარებაა უფრო მეტად პრიორიტეტული. ფაქტობრივად, ეს წელი, ამ პრობლემების გაცნობის, კომუნიკაციების წელი იყო.

- რაც შეეხება ქუჩების გაცალმხრივებას-ბევრი მხარდამჭერი და მოწინააღმდეგე ჰყავს ამ პროექტს. როგორ ფიქრობთ, გაამართლა თქვენმა გადაწყვეტილებამ?

–დისკომფორტი, ნებისმიერ რეფორმას და ცვლილებას ახლავს. გასაგებია იმ მოსახლეობის დამოკიდებულებაც, რომლებსაც გარკვეული უკმაყოფილება აქვს, თუმცა, მაინც მგონია, რომ ეს ცვლილება საჭირო და დროული იყო.არ შეიძლება, ქალაქში, ყველაფერი მხოლოდ ერთ ქუჩაზე ხდებოდეს, ყველაფერი 300 მეტრში იყოს განლაგებული და სხვა ქუჩებს ფუნქცია არ ჰქონდეს. გეთანხმებით, მოსახლეობას თავდაპირველად, შეექმნა დისკომფორტი, თუმცა, სამომავლოდ, ეს ყველაფერი ძალიან კარგად იმუშავებს. ამ ეტაპზე, ჩვენ მივიღეთ კომფორტული გადაადგილების შესაძლებლობა, ნაკლები ქაოსი ქუჩებში.

- მოსახლეობასთან კომუნიკაციას რაც შეეხება, გასულ წელს, აანონსებდით, რომ ყოველდღიურ რეჟიმში გექნებოდათ მოსახლეობასთან ურთიერთობა. დღეს როგორ ხდება ეს?

–ყოველდღიურ რეჟიმში მიწევს მოსხლეობასთან კომუნიკაცია, ყველგან, სადაც მხვდებიან, გარდა მუნიციპალიტეტის, ქუჩაში, სავაჭრო ობიექტებში, ვსაუბრობთ, მეკითხებიან. ამისი პრობლემა არასდროს ყოფილა. გარდა კონკრეტული ხუთშაბათის, ყოველდღიურად მიმდინარეობს ეს პროცესი. ხაშურის მოქალაქე ვარ, რომელსაც ყველგან შემხვდებით და გექნებათ კომუნიკაციის საშუალება. ნებისმიერ დროს ვარ თანახმა ღია კომუნიკაციისთვის.

- როგორი ახალი წელი ექნება ხაშურს წელს?

–გასულ წელზე ლამაზი ახალი წელი გვექნება წელს. ცენტრალურ პარკში იქნება მთავარი ნაძვისხე, მაგრამ ახლად რეაბილიტირებულ პარკსაც მოვამზადებთ ახალი წლისთვის. იქნება მეტი განათება, საახალწლო კონცერტი და უკეთესი სახალწლო განწყობა. მეც და ჩემო ოჯახიც, ჩემი ხაშურელების გვერდით შევხვდებით ახალ წელს.

- როგორი ახალი წელი იყო ოჯახისთვის?

–სიმართლე გითხრათ, მარტივი არ აღმოჩნდა სხვადასხვა ქალაქში ცხოვრება, ყოველ შაბათ-კვირას ხაშურში ჩამოდიან. ყველა საახალწლო ვალდებულებას, ნაძვისხის მორთვას, საახალწლო სამზადისს, ჩემს გარეშე აკეთებენ.

- რას ისურვებდით ხაშურისთვის, წინასაახალწლოდ?

–პირველ რიგში, ყველას მინდა, ჯანმრთელობა ვუსურვო, იმ სამწლიანი პანდემიის შემდეგ მშვიდობა ყოფილიყოს ამ ქვეყანაში. მჯერა, ამ მშვიდობით, ბევრს მივაღწევთ და განვითარების შემდეგ, აფხაზეთსაც დავიბრუნებთ და სამხრეთ ოსეთსაც. მატერიალურ დოვლათს და კეთილდღეობას გისურვებთ, რასაც სტაბილურობა და განვითარება მოყვება. ძალიან მინდა, უფრო მეტი ურთიერთგაგება და სიყვარული გვქონდეს ერთმანეთის, ეს ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია-ერთმანეთის სიყვარულით და მოთმინებით, ბევრი რამის გადალახვა შეიძლება.

წლის ადამიანები

2022 წელი უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. მართალია ამ წელმა წინა 2021 წლის საშინელი „მემკვიდრეობა“ მიიღო პანდემიის სახით და დაამარცხა კიდეც, მაგრამ თავისი არც თუ დალხინებული შედეგებით მაინც დაგვამახსოვრა თავი. პირველ რიგში იმით, რომ გლობალურ მშვიდობას დაუდგა საფრთხე და კაცობრიობა ლამის მესამე მსოფლიო ომამდე მიიყვანა. რუსეთის იმპერიულ ვნებებს არ დაადგა საშველი და 21-ე საუკუნის ფაშიზმი ამ წელს უკრაინას დაატყდა თავზე. მთელი პროგრესული კაცობრიობა დაუდგა მხარში ამ მამაც ერს, თუმცა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ მოსჩანს ომის დასასრულის კონტურები. ეს საშინელი ომი ყველას შეეხო. ბუნებრივია, გამონაკლისი არც ჩვენი ქვეყანა ყოფილა, ომის მწარმოებელ და თავის დამცველი ქვეყნების ასეთი სიახლოვის გამო ეს არც იყო გასაკვირი. თუმცა, ჩვენი მთავრობის კარგად გათვლილი პოლიტიკური მოქმედებების შედეგად ქვეყანამ შეძლო მშვიდობის შენარჩუნება და ეკონომიკური წინსვლაც კი. ამ წინსვლაში თავისი მოკრძალებული წვლილი ჩვენს მუნიციპალიტეტსაც მიუძღვის. საბედნიეროდ, ხაშურში მრავლად არიან ადამიანები, რომლებმაც, უამრავი სირთულის მიუხედავად, შეძლეს და 2022 წელს წარმატებები მოიპოვეს იმ სფეროებში, სადაც ისინი საქმიანობენ. ტრადიციულად, „ხაშურის მოამბემ“, წლის ბოლოს, ერთგვარი სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარა, რათა გამოგვევლინა 2022 წლის ყველაზე წარმატებული პერსონები, რომლებიც „წლის ადამიანის“ ტიტულს მიიღებდნენ. სულ სამასამდე რესპოდენტი გამოიკითხა (გამოკითხვები წარიმართა, როგორც სატელეფონო, ასევე ინტერვიუირების გზით). დასახელდა ოცდაათზე მეტი ნომინანტი, რაც რა თქმა უნდა, მისასალმებელია. ყველაზე მეტი „ქულა“ კი ორმა პიროვნებამ და ერთმა გუნდმა მიიღო, რომლებიც, ჩვენი აზრითაც, ნამდვილად იმსახურებდნენ ამ გამარჯვებას. დღეს გაგაცნობთ ამ გამარჯვებულებს და აქვე დავამატებთ, რომ თითოეულმა მათგანმა ხმების თითქმის თანაბარი რაოდენობა მიიღო და ნუმერაცია მხოლოდ პირობითია.

დავიწყოთ **ლუკა მაისურაძით**. ეს ოქროს ბიჭი მეორე წელია არ თმობს „წლის ადამიანის“ ტიტულს და თავისი წარმატებებით აღაფრთოვანებს არამარტო ხაშურს, არამედ მთელ საქართველოს. მსოფლიო რეიტინგის ხუთეულში ხომ მყარად მოიკიდა ფეხი და ისეთი სტაბილური გახდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალიც კი, რაც უდიდესი მიღწევაა ნებისმიერი სპორტსმენისათვის, ლამის წარუმატებლობად ჩავუთვალოთ. გვჯერა, ლუკა კიდევ ბევრჯერ გაივლის ოქროს ბილიკებს და ვინძლო არც ოლიმპიური პედესტალი იყოს შორს.

<u>ნინო გელაშვილი,</u> მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, საპატიო ხაშურელი, რომელიც სულ ახლახანს, ასი წლის გახდა. საუკუნის ქალბატონმა მართლაც ბევრი მისცა ჩვენს ქალაქს და ბევრისათვის გახდა იგი მაგალითი თუ როგორ უნდა ემსახურო ადამიანი ქვეყანას და სამშობლოს. თავისი ცხოვრების წესით, განვლილი გზით იგი მართლაც იმსახურებს მადლობას და წლის ადამიანის წოდებაც ალალია მასზე.

<u>წლის გუნდი - „ხაშურის ივერიის“</u> გულშემატკივრები. როდესაც ერთ-ერთ მატჩზე, ფეხბურთის ფედერაციას აცნობეს, რომ „ივერიის“ თამაშს ხუთიათასზე მეტი გულშემატკივარი დაესწრო, არ დაიჯერეს, სანამ საკუთარი თვალით არ ნახეს ვიდეოკადრები. საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი მწვავე პრობლემა ცარიელი ტრიბუნებია. როდესაც უმაღლესი ლიგის ცენტრალურ თმაშებსაც კი სულ რამდენიმე ასეული მაყურებელი ესწრება, „ივერიის“ გულშემატკივრების ასეთი ერთგულება მართლაც საოცარია. დასწრების მხრივ, ჯამში, წელს მხოლოდ ბათუმის „დინამოს“ ჩამოვრჩით და ისიც მაშინ, როდესაც იქ კვარაცხელია თამაშობდა. უფრო მეტიც: ერთ-ერთ გასვლით მატჩში (გლდანთან) თავის საყვარელ გუნდს ხაშურიდან ორიათასამდე გულშემატკივარი გაჰყვა. როგორც ადგილობრივმა ადმინისტრაციამ გვითხრა, ასეთ რამეს ისინი პირველად ხედავდნენ. ქებათაქება „ივერიის“ გულშემატკივრებს. იმედია, ასეთი ერთგულება დაუფასდებათ და ეს ყოველივე, მათი საყვარელი გუნდის შედეგებშიც და წარმატებებშიც აისახება.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.